წელიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 11 სექტემბერი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 34

## ჟურნალის შინაარსი

ნ. ჟორდანიას ახალი არგუმენტები—**ყარიბი;** რა ქნას საქართველომ—**ლეო შენგელაია;** მშვიდობიანობა საფრთხეშია—**ს. ელიაძე;** ჩემბერლენი და გერმანიის მენშევიზმი—**ა. ხელაძე;** ჟენევის მორიგი „ბაზრობა“—**კ. ჰეიშვილი;** ქართველი ქალი, ქართველ ქალებს—**ელენე მაისურაძე;** საწავთო ომი—**ი. ნარსია;** რას ემყარებიან ქართველი მენშევიკები?—**ვ. ჩომახია;** წაგებული ბრძოლა—**კალე ჯლამაია;** კიდევ გაფრთხილება—**გ. წულაია;** მილებული შთაბეჭდილება—**ლ. კუპრაშვილი;** სამტრედიის რაიონის ყოფ. მენშევიკების განცხადება; მუშათა თეატრის შესახებ—**პიჭიკო გელეიშვილი;** გურიის გლეხობის გასაჭირი—**ლიხაურელი;** თანამედროვე საბჭოთა სოფელი—**სევ. მაქაცარია;** წერილები პროვინციიდან.

# ნ. ჟორდანიას ახალი არგუმენტი

„ბრძოლის“ 23—24 ნომერში დაბეჭდილია ნ. ჟორდანიას წერილი:—„საბჭოთა წყობილების ახლო პერსპექტივები“, რომელიც ავტორს წაუკითხავს პარიზში პირველ მაისს პარტიულ კრებაზე.

ამ „მოხსენებაში“ ავტორი არ ღალატობს თავის ჩვეულებას და მეათასჯერ ცდილობს დაამტკიცოს, რომ კომუნიზმისა და კომუნისტების დასასრული მოახლოებულია, რომ საბჭოთა წყობილება უნდა დაიქცეს.

მისთვის ეს ფაქტია, მაგრამ როგორ? რა გზით უნდა მოხდეს ეს?

აქ ჟორდანია ლეჭავს იმავე დებულებებს, რომელიც მან უკვე მოგვწერა „სადირექტივო წერილში“ ვანო ქარცივაძის ხელით. როგორც მკითხველებმა იციან, ეს დებულებები შემდეგია: 1. შინაგანი პოლიტიკური ხაზი, 2. შინაგანი ნაციონალური ხაზი და 3. საგარეო სამხედრო ხაზი.

როგორც ხედავთ, ეს ყველაფერი ძველია. მაგრამ ამ „მოხსენებაში“ არის ისეთი არგუმენტი, რომელიც თვითონ ჟორდანიასთვისაც ახალია და რომელზეც გვსურს შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ნ. ჟორდანია ერთხელ კიდევ გამოდის წინასწარმეტყველის როლში, ეცემა ქადაგად და წარღვნით ემუქრება საბჭოთა წყობილებას.

საბჭოთა წყობილება რომ უნდა დაეცეს, ეს ჟორდანიას უკვე დამტკიცებულად მიაჩნია. მისი აზრით ეს ისე აუცილებლად მოხდება, როგორც ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელ დღეს შესცვლის ღამე და ღამეს დღე. ამაში ავტორი არა თუ თვითონ არის დარწმუნებული, მას ვერც კი წარმოუდგენია ისეთი ადამიანი, რომელსაც სჯეროდეს საბჭოთა წყობილების გამარჯვება.

მოვუსმინოთ თვითონ ქადაგად დაცემულ წინასწარმეტყველს:

„საბჭოთა წყობილება რომ უნდა დაეცეს და გადავარდეს, ამაში ეჭვი არავის შედის, ეს საერთოთ მიღებული დებულებაა. დავა არის მხოლოდ იმაში, თუ რა ფორმით დაეცემა ის, რა სახეს მიიღებს რუსეთი მეორე დღეს მისი დაცემისა“. (იხ. „ბრძოლა“, № 23—24).

რაზეა აგებული საბჭოთა წყობილების დაცემის აუცილებლობა?—კითხულობს ავტორი და თვითონ უპასუხებს:

„არის მიზეზი რომ ეს რეჟიმი არ შეიძლება არ დაეცეს. ეს არის ის, რომ **ეს წყობილება არ შეესაბამება დღევანდელ მსოფლიო ეპოქის ძირითად მიმდინარეობას და არ თავსდება მის კალაპოტში**“. (ხაზი ჩვენია).

აი ნ. ჟორდანიას ახალი არგუმენტი. საბჭოთა წყობილება იმიტომ უნდა დაინგრეს, რომ იგი არ შეესაბამება დღევანდელ მსოფლიოს ძირითად მიმდინარეობას.

მართალი ბრძანდება ნ. ჟორდანია, როცა ამბობს, რომ საბჭოთა წყობილება არ თავსდება დღევანდელ მსოფლიოს კალაპოტში. მაგრამ ნუ თუ ეს გარემოება იმას უნდა მოასწავებდეს, რომ იგი უნდა მოისპოს?

ნ. ჟორდანიას ამ ახალი მოძღვრებიდან გამოდის, რომ უნდა მოისპოს და დაინგრეს ყოველი ის რაც არ შეესაბამება ძველს, რაც არ თავსდება ძველ ჩარჩოებში.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ისეთი ბუნების მეტყველი ან სოციოლოგი, რომელიც ნ. ჟორდანიას ამ ახალ აღმოჩენას დაეთანხმოს. იგი კიდევ უფრო მიუღებელია მოქმედისათვის..

რაშია საქმე?.

ის ახალი მოვლენა, რომელიც დღეს ჩვენა გვაქვს საბჭოთა წყობილების სახით და რომელიც მართლაც არ შეესაბამება არსებულ წყობილებებს და არ ეტევა ძველ კალაპოტში, ციდან ხომ არ ჩამოვარდნილა, თავისთავად ხომ არ გაჩენილა?

დღემდე ჩვენ, მარქსისტებმა, ვიცოდით, რომ ყოველი ახალი ძველის უარის ყოფაა, რომ ახალი ჩნდება იმიტომ, რომ თვით ძველ ფორმებში არის ახალის გაჩენის აუცილებელი პირობები. ეს კი იმას მოასწავებს, რომ ძველი დასუსტებულია, დაავადებულია, რომ ის უნდა მოისპოს და ადგილი ახალს დაუთმოს.

ჩვენ ვიცოდით და დღესაც ასე გვგონია, რომ რა კი ძველში ახალი ჩაისახა, ის აუცილებლად უნდა დაიბადოს, ის უნდა გამოვიდეს ძველის საშოდან ისე, როგორც დედის საშოდან გაზრდილი და დამთავრებული ნაყოფი.

უამისოდ შეუძლებელია როგორც ძველის, ისე ახალის, როგორც დედის, ისე მისი ნაყოფის არსებობა.

საბჭოთა წყობილება უნდა მოკვდეს? რატომ? იმიტომ, რომ იგი არ შეესაბამება ძველს, არ თავსდება ძველ კალაპოტში?

მერე ეს რა საბუთია? დამისახელეთ თუნდაც ერთი რამე ახალი, რომელიც შეესაბამებოდეს ძველს, თავსდებოდეს მის კალაპოტში. დამისახელეთ ერთი ასეთი მოვლენა მაინც როგორც ბიოლოგიაში, ისე სოციოლოგიაში. წიწილი შეეფერება კვერცხს, თავსდება მის ჩარჩოში? არა, ის არ შეესაბამება კვერცხს, არ თავსდება მის ჩარჩოში. მერე რა ხდება აქ, ამ ძველსა და ახალის ბრძოლის დროს! წიწილი ჰკლავს ძველს, სტეხს კვერცხის ნაჭუჭს, გამოდის იქედან და იწყებს ახალ ცხოვრებას.

მიწაში ჩაგდებული თესლის ჩანასახი სულაც არ შეესაბამება თესლს, ის არ ეტევა თესლის ჩარჩოში. მერე რას ვხედავთ აქაც? ეს ახალი არსი კლავს ძველს, ესე-იგი ხეთქავს თესლის ნაჭუჭს, იღებს მისგან სიცოცხლეს, ამოდის მიწიდან, იზრდება და ხარობს ძველის ხარისხზე.

ეს ასე ხდება ბიოლოგიაში. იმავე მოვლენას აქვს ადგილი სოციოლოგიაშიაც.

ივივე მოხდა რუსეთის ყოფილ იმპერიაში.

ძველი, არქაიული წყობილება მეტის - მეტად მოძველდა. ის გადაიქცა თავის საკუთარ წინააღმდეგობად, ის ვერავის, ვერც ერთ საზოგადოებრივ კლასს, რა თქმა უნდა, გარდა სასახლის ერთი მუჭა შავი რაინდებისა, ვერ აკმაყოფილებდა... ამიტომ ამ დასნეულებულ და თავის საკუთარ წინააღმდეგობად გადაქცეულ წყობილებაში უნდა დაბადებულიყო ახალი ძალა, რომელსაც უნდა დაენგრია დრო მოჭმული ძველი წყობილება და მისი ადგილი თვითონ დაეჭირა. დიდ ხანს გაგრძელდა ამ ორ ძალთა, ძველსა და ახალ წყობილების შორის ბრძოლა, რომელიც დამთავრდა უდიდესი რევოლიუციით.

ეს საშინელი ბრძოლა, ეს ძველსა და ახალს შორის სამკვდრო - სასიცოცხლო ჭიდილი ჩვენს თვალწინ მოხდა. დამარცხდა ძველი ფორმა, გაიმარჯვა ახალმა, რომელიც ძველს ჩარჩოებში არ ეტეოდა. დაინგრა რუსეთის თვითმპყრობელობა მთელი მისი წყობილებით და მის ადგილზე, როგორც მისი კანონიერი მემკვიდრე, გაჩნდა საბჭოთა წყობილება.

ეს იცის ყველამ, ეს ოდესღაც იცოდა ნ. ჟორდანიამაც, მაგრამ იგი განგებ ივიწყებს ყოველ ამას. ის ანგარიშს არ უწევს სინამდვილეს. მისთვის მხოლოდ ის არის საჭირო, რომ დაამტკიცოს კომუნიზმისა და საბჭოთა წყობილების დაღუპვის აუცილებლობა. ამიტომ ის თავუკულმა აყენებს მეცნიერებას და ზღაპრული პროკრუსტის როლით კმაყოფილდება. ის სცდილობს დაიჭიროს საბჭოთა წყობილება და წამოაწვინოს იგი პროკრუსტის სარეცხელზე. და რაკი ეს მის მიერ საოპერაციოთ გამზადებული წყობილება ამ სარეცელზე არ ეტევა, ის სრულიად უარყოფს მას, სიკვდილსა და დაღუპვას უწინასწარმეტყველებს.

მაგრამ დღეს ჩვენში მეექვსე ჯგუფის მოწაფემაც კი იცის, რომ ჟორდანიას ასეთი წინასწარმეტყველება ეწინააღმდეგება მეცნიერებას, რომ ის სრული უარყოფაა როგორც რევოლიუციის, ისე ევოლიუციის კანონებისა.

რა მოხდა? აბა ვინ დაიჯერებს, რომ ნ. ჟორდანიამ არ იცოდეს ეს კანონები? რა თქმა უნდა მან ეს იცოდა მაშინ, როცა იგი რევოლიუციონერი იყო, მაშინ,ისიც ჩვენსავით მსჯელობდა, ან უფრო მართალი თუ გნებავთ: მაშინ ჩვენც მასავით ვმსჯელობდით.

დღეს კი, როცა რევოლიუციამ მისი საძულველი კომუნიზი და საბჭოთა წყობილება მოგვცა, ის არ იღებს რევოლიუციის ამ საჩუქარს, არ იღებს ამ ახალ საზოგადოებრივობას, გამოდის ძველის დამცველად და გვიწინასწარმეტყველებს ახალის დაღუპვას, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ძველს არ შეესაბამება, ძველ ჩარჩოებში არ ეტევა.

რა განსხვავებაა რევოლიუციონერსა და კონტრ-რევოლიუციონერს შორის?

ის რომ პირველი ფიქრობს, რომ ყოველივე ძველი უნდა მოისპოს, რადგანაც იგი არ შეეფერება ახალს, მეორე კი ფიქრობს, რომ ახალი უნდა მოისპოს, რადგანაც იგი ვერ თავსდება, ვერ ეტევა ძველ ჩარჩოებში. ამ უკანასკნელ აზრის დამცველად გამოდის ნ. ჟორდანია.

აქედან ცხადია, თუ ვინ არის იგი, ვის რიგებში დგას, ვის ეხმარება, ვის ებრძვის.

დღეს ის აშკარად დგას კონტრ-რევოლიუციის ბანაკში, აშკარად გამოდის ძველი წყობილების დამცველად. ის ებრძვის რევოლიუციას, ებრძვის ყოველ ახალს.

ძველსა და ახალ ჟორდანიას შორის ერთობ დიდი განსხვავებაა. მან უკუ აგდო ძველი რევოლიუციონური, მარქსისტული აზროვნების აპარატი, უარყო ყოველი ის, რასაც რამდენიმე ითეული წლის განმავლობაში თაყვანსა სცემდა, რასაც ამავე ხნის განმავლობაში ყველას ასწავლიდა და დღეს იბრძვის რევოლიუციისა და სოციალიზმის მტერთა რიგებში.

იმიტომ არის, რომ დღეს მის აზროვნებაში საშინელი წინააღმდეგობას აქვს ადგილი.

მაგალითები გნებავთ? ინებეთ:

„დემოკრატიის კრიზისში“, როგორც დავინახეთ, ნ. ჟორდანია სწერს: დემოკრატია ორად გაიყო; ის დაიქსაქსა. მისმა მუშურმა ნაწილმა კომუნისტების წინაშე დაიჩოქა, ბურჟუაზიულმა—ფაშისტების წინაშე მოხარა ქედით.

იმავე წერილში ავტორი ამტკიცებს, რომ ასე მომხდარა არა მარტო ყოფილ რუსეთის იმპერიაში, არამედ მთელს ევროპაში, სადაც სახელმწიფო ძალა-უფლება ბურჟუაზიის ხელშია.

აქ ჟორდანია სრულ ჭეშმარიტობას გვეუბნება. ეს მართლაც ასე მოხდა ყოველგან. ეს ფაქტია.

მაგრამ რას გვეუბნება ეს ფაქტი?

ეს იმას გვეუბნება, რომ კომუნიზმი სრულიად ბუნებრივი მოვლენა ყოფილა; რომ მას გაუმარჯვია არა მარტო რუსეთის ყოფილ იმპერიაში, სადაც ჟორდანიასა და კაუცკის აზრით, ერთმა მუჭა კომუნისტებმა ტერორის მეოხებით მოახვიეს ხალხს თავისი ბატონობა. ეს ფაქტი იმას გვეუბნება, რომ კომუნიზმს გაუმარჯვია,—ჯერ იდეურად, რა თქმა უნდა,—იმ სახელმწიფოებშიაც, სადაც კომუნისტები დევნილების როლში იყვენ და არიან. კომუნიზმს გაუმარჯვია გერმანიაში და ავსტრიაშიც, სადაც ძლიერი სოციალ-დემოკრატია, იმავე ჟორდანიას მოწმობით, ზარბაზნებითა და ტყვიისმფრქვეველებით ებრძოდა მას. თვითონ ჟორდანია გვეუბნება, რომ გერმანიისა და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიამ კომუნისტების სახარების წინ მოიყარა მუხლით.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან?

ის რომ კომუნიზმი სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. რომ ის ნამდვილი ღვიძლი შვილია თანამედროვე მებრძოლ ძალთა განწყობილებისა.

თუ ეს ასეა, კომუნიზმმა უნდა გაიმარჯვოს. მან უნდა დაასამაროს ძველი, შრომის ექსპლოატაციაზე აგებული მსოფლიო და მისი ადგილი თვითონ დაიჭიროს.

რატომ? იმიტომ, რომ არსებობისთვის ბრძოლაში იმარჯვებს ის, რაც ბუნებრივია, რაც შეეფერება ახალ დროს, ახალ ვითარებას, ახალ მოთხოვნილებას.

აა რა დასკვნა გამოდის ნ. ჟორდანიას „დემოკრატიის კრიზისი“-დან. მართალია, ავტორი თვითონ არ აკეთებს ასეთ დასკვნებს დასახელებულ წერილში. ის ყოველგან და ყოველთვის გაურბის დასკვნების გაკეთებას, თუ ეს დასკვნები კომუნისტების სასარგებლოა. მაგრამ ჟორდანიას დებულებებიდან ასეთი დასკვნები თავისთავად გამოდიან.

ამის შემდეგ პირდაპირ დაუჯერებელია იმავე ნ. ჟორდანიას **ახალი დასკვნა** იმავე კომუნიზმისა და საბჭოთა წყობილების შესახებ. სულ ორიოდე თვის მანძილზე ნ. ჟორდანია ძველ ხელთათმანსავით, იცვლის აზრს და იმავე „ბრძოლის“ 23—24 ნომერში გვეუბნება: საბჭოთა წყობილება უნდა დაიქცეს, რადგან იგი არ შეესა-

ზამება დღევანდელ მსოფლიოს წყობილებას და ძველ კალაპოტში არ თავსდებაო.

ორში ერთი: ან კომუნიზმი ბუნებრივი მოვლენა ყოფილა და, ალბათ, ამიტომ გადასულა მის მხარეზე დემოკრატიის უფრო სასიცოცხლო ნაწილი „მუშური დემოკრატია",—ამიტომ მოუპოვებია მას იდეური გამარჯვება იმ სახელმწიფოებშიაც, სადაც ჯერ კიდევ მსოფლიო მენშევიზმით წელ-გამაგრებული ბურჟუაზია მორჭმით განაგებს ქვეყნის ბედ-იღბალს,—ან და კომუნიზმი არ ყოფილა ბუნებრივი მოვლენა, მას არ ქონია ცხოვრებაში სალი ფესვები და ის უნდა მოისპოს როგორც ცხოვრების ხორცმეტი, როგორც უნიადაგო, შემთხვევითი მოვლენა.

ვინც პირველი დაამტკიცა, ის მეორეს ვერ დაამტკიცებს... აქედან აშკარაა, რომ ნ. ჟორდანიას აზროვნება უფრო მეტ კრიზისს განიცდის, ვიდრე მისი „დემოკრატია".

რატომ მოსდის მას ასეთი შეცდომები?

იმიტომ, რომ ის ტრაფარეტის მონაა. მან ერთხელ და სამუდამოდ შეითვისა დებულება: სოციალიზმი კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყანაში უნდა განხორციელდესო... და როცა სოციალიზმის მზემ ეკონომიურად და ტეხნიკურად ჩამორჩენილ ყოფილ რუსეთის იმპერიაში ამოყო ყური, ნ. ჟორდანიას იგი მიუღებლად მიაჩნია.

ნ. ჟორდანიამ ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომა თქმულება იმის შესახებ, რომ ნაზარეთიდან არაფერი კეთილი არ გამოვაო და როცა ქრისტე ნაზარეთში დაიბადა, მას ასეთი ქრისტე არა სწამს.

კიდევ ერთი მიზეზი. ნ. ჟორდანიას აზროვნებაში ასეთი ლიაფსუსებისა.

მას კომუნისტები მეტის-მეტად სძულს. ის მათი შეურიგებელი მტერია. მას არ შეუძლია საბჭოთა წყობილებისა და კომუნიზმზე გონებადამჯდარი მსჯელობა. ის ისე გატაცებულია კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლი[თ] სურვილით, რომ ის მათში ხედავს ყოველისფერ სისაძაგლეს და არც ერთ დადებით მხარეს. ის არ ეთანხმება მეორე ინტერნაციონალის არც ერთ ლიდერს, თვით კაუცკისაც კი, კომუნისტების დაფასების საქმეში.

ის თავს ესხმის მეორე ინტერნაციონალს და იცით რატომ?

„სოციალისტურ ინტერნაციონალის მოწოდებაში ჩინეთის შესახებ ერთი სიტყვაც არაა რუსეთის წინააღმდეგო". (იხ. „ბრძოლა", № 23—24, გვ. 16).

მერე რატომ უნდა გამოსულიყო მეორე ინტერნაციონალი ჩინეთის შესახებ მოწოდებაში „რუსეთის წინააღმდეგ". რა დაიშავა „რუსეთმა" ჩინეთის საკითხში?

ის, რომ ჩინეთის რევოლიუციას უდიდესი დახმარება გაუწია, მისი ჭირი თავის საკუთარ ჭირად მიიღო. და ლხინი ლხინად. მერე ეს დანაშაულია? ასე არ უნდა მოქცეულიყვენ ყველა რევოლიუციონური პარტიები?

მაგრამ კომუნისტების დანაშაული მარტო ის როდი ყოფილა. იმათ ჟორდანია იმაშიც სდებს ბრალს, რომ:

„მოსკოვის საგარეო პოლიტიკა არის რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა, **მიმართული ინგლისის სახელმწიფოს წინააღმდეგ**". ხაზი ჩვენია).

აქ ნოე ჟორდანია აშკარად გამოდის ინგლისის სახელმწიფოს დამცველად. ეს მეტის მეტია, მაგრამ რას იზამთ, როცა მას იმდენად ეჯავრება **კომუნისტები და საბჭოთა წყობილება**, რომ ის მზად არის ეშმაკსაც კი დაუმეგობრდეს მათ წინააღმდეგ.

რას იზამო? ტყუილა კი არ უთქვამს ბრძენს:

შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე!

ეჭვს გარეშეა, რომ აქ მართალია ხალხის თქმულება:

ვის პურსაც სჭამს, ხმალსაც მისთვის იქნევსო.

ვისაც ბურჟუაზიის ნასუფრალით ცხოვრება სურს, მან ამ ბურჟუაზიის დაცვაც უნდა იკისროს.

**ყარიბი.**

# რა ჰქნას საქართველომ

10.

## ჩვენი ამოცანები

ემიგრაცია ერთობა ბოლშევიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების ზეპირი კრიტიკით და დღესაც, საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლის შემდეგაც იმეორებს იმას, რაც ერთს დროს გაზ. „ბრძოლისა" და „ერთობის" ფურცლებზე გაცილებით უფრო ნიჭიერად (თუმცა დიდი ნიჭი არც მაშინ ეტყობოდათ!) იწერებოდა.

სოციალ-დემოკრატიამ მოახდინა რესტავრაცია, თუ ხელისუფლების არა, ძველი ზნე-ჩვეულებათა მაინც. ლანძღვა-გინება, ცილის წამება და პიროვნების გაბიაბრუება—აი, მისი ძველი ნაცადი ხელობა, რომლითაც ის დღესაც უხვად სარგებლობს ჩვენს წინააღმდეგ.

ამ მხრით მას სტაჟი დიდი აქვს და სარბიელიც ფართო, ვინაიდან „მოღალატეთა" რიცხვი დღითი დღე მატულობს. დღევანდელ პირობებში ბრძოლა მას წერა-კითხვის საზოგადოებაში წარმოებული ოპოზიცია გონია და თუ ის პრაქტიკულად, ფარულად ავანტიურის გაკვალულ გზას ადგია, ოფიციალურად ის ყოველთვის გვერდს უვლის საკითხს: რა ჰქნას საქართველომ, რა ქნან ქართველმა მუშებმა და გლეხებმა, ქართველმა ინტელიგენციამ, რომლებიც არიან აქ საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე და ფრიად თავისებურ პირობებში უხდებათ ცხოვრება და მუშაობა? როგორ მოიქცენ ისინი, რომ ქვეყანას უარესი დღე არ დაადგეს და თვითონაც რევოლიუციისა და სოციალიზმის მოღალატეებად არ გამოვიდნენ?

ქართველ ერს სრული უფლება აქვს უთხრას ემიგრაციას პოეტის სიტყვებით:

«Брось твои иносказания и гипотезы пустые,
На проклятые вопросы дай ответы нам прямые»!

ჩვენ კი ჩვენის მხრით ვეცდებით ცალკე მუხლებში ჩამოვაყალიბოთ ჩვენი პასუხი დასმულ კითხვაზე.

1. უპირველეს ყოვლისა ემიგრაციამ ხელი უნდა აიღოს ყოველგვარ ავანტიურაზე და აჯანყებაზე, ვისაც მასში დასაბრუნებელი პირი აქვს, უნდა დაბრუნდეს საქართველოში. ევროპაში ხეტიალსა და შიმშილობაში არავითარი აზრი არ არის. აჯანყება საქართველოსათვის დამღუპველია, მას არ შეუძლია აჯანყება და არც არის ის მისთვის საჭირო.

ვიდრე ლენინგრადსა და მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლებაა—საქართველო დემოკრატიულ წესწყობილებას ვერ დაამყარებს.

ეს სხვათა შორის იმიტომ, რომ დღევანდელ პირობებში პერიფერიაში დაწყებული მოძრაობის გამარჯვება ძლიერ საეჭვოა. შორეულმა თუ ახლობელმა ისტორიამ ამის მაგალითი უამრავი იცის.

2. ემიგრაციასა და ციხეში მყოფთ რევოლიუცია არას დროს არ მოუსცდენიათ. ბოლშევიკების გინება, მეშჩანური წუწუნი, თუ გნებავთ ციხეში ჯდომაც გმირობა არ გახლავთ. დღეს ერთ მხარეზე დგას ევროპა მისი ბურჟუა-ფაშისტებითა და სოციალისტებით კბილებამდე შეიარაღებული ჰაეროპლანებით, ტანკებით, გამანადგურებელი ზარბაზნებით და უამრავი ჯარით, ხოლო მეორე მხარეზე [illegible] საბჭოთა კავშირი საბჭოთა ხელისუფლებით და სოციალისტური აღმშენებლობით. ახლა გვიბრძა-

ნეთ: რომელია უფრო მეტი გმირობა: გვერდში ამოუდგე ღარიბ საბჭოთა ქვეყანას თუ მდიდარსა და ჯავშნოსან ევროპას?! ცხადია, გმირობაა პირველი და არა მეორე!..

საბჭოთა ხელისუფლების თავისებურება სხვათა შორის იმაშიც გამოიხატება, რომ მასთან **ლოიალობითა და თანამშრომლობით გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლება.** (მშრომელი ხალხისათვის, რა თქმა უნდა), **ვიდრე ბრძოლითა და აჯანყებით.** აი, ფაქტები. 1917—1918 წლებში ჩეკა არ არსებობად, 1918 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ სიკვდილით დასჯა გააუქმა, 1921 წელს ჩვენში პოლიტიკური დაჭერები და დახვრეტა არ ყოფილა, მაგრამ, როცა საბჭოთა ხელისუფლებას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს, ჩეკაც გაჩნდა და სხვა უკიდურესი ზომებიც მიღებულ იქნა

**უარესი გინდა თუ უკეთესი? თუ უარესი გინდა—შეებრძოლე, თუ უკეთესი გინდა—გვერდში ამოუდექი!** ასე დგას საკითხი.

3. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა უნდა იცოდენ, რომ აჯანყება, ომი და ყოველგვარი გართულება უპირველეს ყოვლისა მათ დაატყდებათ თავს. მხოლოდ მშვიდობიანი ცხოვრება და დაუღალავი შრომა მიანიჭებს მათ კეთილდღეობას და ხელს შეუწყობს ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების გაძლიერებას.

4. საქართველოს იურიდიული მდგომარეობა დღეს ასეთია: ის არის სახელმწიფო საკუთარი ტერიტორიით, ერითა და ხელისუფლებით. ა.-კ. ფედერაციის საშუალებით ის შედის საბჭოთა კავშირში. მას აქვს უფლება, თუ მოისურვებს ამ კავშირიდან გამოვიდეს. რაც შეეხება ფაქტიურ დამოუკიდებლობას—მის ერთად-ერთი უტყუარი საფუძველს შეადგენს: **მაღალი ეროვნული ეკონომიკა და მაღალი ეროვნული კულტურა** ერი, რომელსაც ეს ორი მთავარი ფაქტორი არ მოეპოვება, დამოუკიდებელი ვერ იქნება. თუნდაც მილიონი რეზოლიუცია და კანონი მიიღოთ მის დამოუკიდებლობის შესახებ. ახლა ვიკითხოთ ყოველგვარი ფრაქციული ყინიაობისა და მეშჩანური წუწუნის გარეშე: დამოკიდებულობის ამ ორი ბოძის გასაძლიერებლად ჩვენში კეთდება თუ არა რამე და თუ კეთდება როგორი ტემპით და ინტენსიობით?

სინდისის ქვეშ შეიძლება ითქვას: დღეს როგორც ეროვნული ეკონომიკის, ისე ეროვნული კულტურის ხაზით ჩვენში კეთდება უდიდესი საქმე, რომელიც რაც არ უნდა მოხდეს, წაუშლელი დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ქვეყნის ელექტროფიკაცია, ახალი ფაბრიკა-ქარხნები, რკინისგზები, ნავთის მრეწველობის ასალორძნებლად მიმართული ღონისძიებანი, და სხვადასხვა. რა არის თუ არა ეროვნული ეკონომიკის მტკიცე საფუძველი?!

ქართულ ენაზე გამოდის უამრავი წიგნი, საქართველო მოფენილია სკოლებით, სადაც სწავლა-განათლება სწარმოებს ქართულ ენაზე და სხვ. განა ეს ეროვნული კულტურის უდიდესი წინსვლასა და გამარჯვებას არ მოასწავებს?!

საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს, რათა საქართველო ეკონომიურად და კულტურულად წინ წასწიოს. ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელია. ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა სწამს არა სადემაგოგიოთ, არა ფრაქციული მიზნებისათვის, არამედ სერიოზულად და საბოლოოდ, ხელი უნდა ჩასჭიდოს საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობის ამ მხარეს და მას ყოველმხრივ დაეხმაროს.

5. საბჭოთა ხელისუფლებას არ სწამს ბურჟუაზიული დემოკრატია, ის უარყოფს ფორმალურ დემოკრატიას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ სწამდეს არავითარი დემოკრატია.

ლენინი ამბობს: **„სერიოზული პოლიტიკა იწყება არა იქ, სადაც არიან ათასები, არამედ იქ, სადაც არიან მილიონებით“** (იხ. ტ. 15, გვ. 133). ეს მილიონები გახლავთ წმინდა წყლის დემოკრატია, მხოლოდ არა ბურჟუაზიული, არამედ მშრომელი.

„ფიქრი იმაზე, რომ შეექმნათ კომუნისტური საზოგადოება მხოლოდ კომუნისტების ხელით—არის ბავშური იდეა. კომუნისტები—ეს არის წვეთი სახალხო ზღვაში“-ო. (იხ. ტომი 18, ნ. 2, გვ. 44—45), მოიგონეთ აგრეთვე ლენინის ცხობილი დებულება: „ყოველმა მზარეულმა უნდა ისწავლოს სახელმწიფოს მმართვა-გამგეობაო“.

ყოველივე ეს მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ მშრომელთა ფართო მასების სახელმწიფოს მმართვა-გამგეობაში და სოციალისტურ საზოგადოების აშენებაში ჩაბმა არის საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვების აუცილებელი პირობა.

სხვანაირად არც შეიძლება იყოს, ვინაიდან ის საქმე, რომელსაც ეწოდება სოციალიზმის დამყარება, იმდენად უჩვეულო, დიადი და რთული საქმეა, რომ მისი განხორციელება შეუძლებელია, თუ მას სერიოზულად და სინდისის ქვეშ ხელი არ მოჰკიდეს მართლაც მილიონებმა.

მივდივართ თუ არა ჩვენ პრაქტიკულად ასეთი დემოკრატიისაკენ?..

როცა ცაკის წევრთა რიგებში მე ვხედავ ჩვენს საზოგადო მოღვაწეთ: პროფესორებს, ექიმებს, პოეტებს, ხელოვანთ და სხვებს, როცა ვიცი, რომ საბჭოებში უპარტიოები მეტად საგრძნობ ნაწილს შეადგენენ, ხოლო რუსეთის ზოგიერთ პროვინციაში უმრავლესობასაც—კიმე ვამბობ: **„საბჭოთა ხელისუფლება მიდის დემოკრატიისაკენ: მას სწამს საბჭოთა დემოკრატია, მეგობრული, საქმიანი.** სოციალიზმის ინტერესი და საქართველოს ეროვნული საქმე მოითხოვს, რომ ამ გზაზე გულწრფელად და მტკიცედ შედგენ ჩვენი ერის ყველა ცოცხალი ძალები.

6. ორ სკამზე ჯდომა ნუ იქნება: დღეს რომ საბჭოთა ხელისუფლებას ლოიალობაში ეფიცები, ხვალ არალეგალურ მუშაობაში დაგიჭირონ—შენ უდიდესი დამნაშავე იქნები: შენ ამით ეჭვისა და უხდობლობის ჩრდილს აყენებ მათ, ვინც მართლა გულწრფელნი არიან და ლოიალობა და თანამშრომლობა საბოლოოდ გადაწყვიტეს. ჩვენ ვერ ავყვებით ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მენშევიკების დროს ამბობდა: ნეტავ მოვიდოდენ ბოლშევიკები, რომ მენშევიკები მიანგრ-მოანგრიონო, ხოლო ბოლშევიკების დროს მენშევიკებს მიუბრუნდენ და მოსთქვამენ: „სად ხარ ჩემო სულიკოო“.

ჩვენი ინტელიგენციის ვალია განამტკიცოს ის აზრი, რომ ლოიალობისა და თანამშრომლობის ლოზუნგი არ არის უქმი ფანტაზიის ნაყოფი, არამედ იგი არის ერთად ერთი გზა საქართველოსათვის. ნაკარნახევი ისტორიული აუცილებლობით.

7. დღეს ბევრი დიდი საქმე კეთდება ჩვენში, თუ ყველა გულწრფელად მოიწადინებს, უფრო მეტი გაკეთდება. ვისაც ეს არ სურს—ის ქვეყნის კეთილდღეობით არ არის დაინტერესებული. ქვეყნის ბედი ჯგუფურ ინტერესებს არ უნდა ვანაცვალოთ და არც თავმოყვარეობის საკითხად გავხადოთ. ჩვენ გვინდა: ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო... სოციალისტებს შორის საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობის ცნობისა და ურთიერთი ნდობისა და პატივისცემის ნიადაგზე წინააღმდეგ მსოფლიო რეაქციისა, შინ ზრდილი კონტრ-რევოლიუციისსა, ექსპლოატაციისა და სილატაკისა!..

მოკლედ, დასმულ კითხვაზე ჩვენი პასუხი ასეთია: **რაც საბჭოთა წესწყობილებაში კარგია—მივილოთ, რაც ნაკლია—საერთო ძალ-ღონით გამოვასწოროთ!**

სხვა გზა უფრო რაელური, სოციალისტურ პრინციპებთან უფრო შეთანხმებული და ეროვნული თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელი—არ არსებობს!..

**ლეო შენგელაია.**

# მშვიდობიანობა საფრთხეშია

ინგლისის დღევანდელი კონსერვატიული მთავრობა, ყველა დანარჩენი ქვეყნების მთავრობებზე უფრო რეაქციონურია.

მშვიდობიანობას ყველაზე მეტი საფრთხე სწორედ ამ მთავრობიდან მოელის.

დღიდან ხელისუფლების სათავეში ჩადგომისა, ინგლისის მთავრობამ ორ ფრონტზე დაიწყო ბრძოლა. საგარეო პოლიტიკაში ის სცდილობს შექმნას მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და როგორმე ომში ჩაითრიოს იგი.

ამ მიზნით გასწყვიტა მან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ამ მიზნით აწარმოებს ბრძოლას ჩინეთის განმათავისუფლებელი რევოლიუციის წინააღმდეგ.ამ მიზნითვე გზავნის ჯაშუშებს საბჭოთა რესპუბლიკებში და აწყობს თავდასხმებს ჩვენს სავაჭრო და დიპლომატიურ წარმომადგენლობაზე სხვადა სხვა ქვეყნებში.

ჟენევაში ამ ჟამად სწარმოებს ერთა ლიგის სესია.

ეს ორგანო მხოლოდ იმიტომ არის მოგონილი, რომ მის ზურგს უკან ინტრიგების ქსელი გააბან იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა.

ეხლაც, დეპეშების ცნობით, იქ უნდა გაიმართოს ბალტიის პატარა სახელმწიფოების გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირი, საერთო საგარანტიო ხელშეკრულების დადების მიზნით. ნამდვილად კი ეს ცდა მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთო ფრონტის შესაქმნელად.

დიდი ხანია გერმანიაზედაც ახდენენ ზეგავლენას, რათა ამ უკანასკნელმა მტრული პოზიცია დაიკავოს საბჭოთა ქვეყნების მიმართ.

ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ იმპერიალისტებმა ერთხელ კიდევ დაატეხონ კაცობრიობას გამანადგურებელი ომი და ამით თავიანთი ბატონობა გაახანგრძლივონ.

შინაურ პოლიტიკაში ინგლისის მთავრობა შეტევას აწარმოებს მუშათა კლასზე. ამცირებს შრომის ხელფასს, ადიდებს სამუშაო დღეს, სდევნის მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელებს და სხვა. მან გამოსცა აგრეთვე პროფკავშირების საწინააღმდეგო კანონი, რომლითაც საგრძნობლად შეზღუდულია პროფორგანიზაციების მიერ ათეული წლებით მოპოებული უფლებები.

აი, ასეთ გართულებულ პირობებში გაიხსნა ინგლისის ტრედუნიონების მორიგი ყრილობა ედინბურგში.

რამდენადაც წარსული მაგალითებიდან ვიცით, ტრედუნიონების ყრილობები ყოველთვის წარმოადგენდენ იმ ადამიანების კრებულს, რომელთა მოქმედება მიმართულია ბურჟუაზიასთან თანამშრომლობისაკენ.

კლასიური ბრძოლა. მუშათა მასების დარაზმვა ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გასაუმჯობესებლად და საბოლოო ანგარიშით სოციალისტური რევოლიუციისათვის გზის გასაკაფავად, მათთვის ყოველთვის უცხო ხილი იყო, მაგრამრაც დრო გადის ეს პროფბიუროკრატები თანდათანობით უფრო მარჯვნივ იხრებიან და აშკარა მოღალატეობის სამოსელში ეხვევიან.

მკითხველს ეხსომება, რომ ინგლისის ტრედუნიონებმა ამ რამოდენიმე წლის წინედ საბჭოთა კავშირში გამოგზავნეს დელეგაცია პერსელის თავმჯდომარეობით. ამ დელეგაციის წევრები და თვით პერსელი აქ საჯარო გამოსვლებში ხმამაღლა აცხადებდენ, რომ ისინი სრულ ჭეშმარიტებას გააცნობენ ინგლისის მუშათა კლასს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე იბრძოლებენ პროფმოძრაობის მთლიანობის განსახორციელებლად.

მიუხედავად ამისა, ხსენებული დელეგაციის წევრები და პირველ რიგში სამთომადნო პროფკავშ. თავმჯდომარე სმიტი, არა ნაკლებ ინსინუაციებს ავრცელებს საბჭოთა კავშირის შესახებ, ვინემ ცნობილი რეაქციონერი ტომსი და სხვები.

ედინბურგის ყრილობაზედაც ჩვეულებრივ შეიკრიბა პროფკავშირთა ჩინოვნიკები, რომელთა გულისყური მიპყრობილია საბჭოთა კავშირის მიმართ ჭორების გავრცელებისაკენ.

ყრილობამ სხვათა შორის ერთი ფრიად საყურადღებო საკითხი უნდა გადასწყვიტოს. ეს არის ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის შემდგომი არსებობა.

როდესაც ეს კომიტეტი ჩამოყალიბდა, მისი მთავარი დანიშნულება იყო ხელი შეეწყო პროფმოძრაობის მთლიანობის განხორციელებისათვის.

იმ დეკლარაციაში, რომელიც ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტმა შეიმუშავა, სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი:

„საერთო კონფერენცია ადასტურებს, რომ ნაციონალური და საერთაშორისო მთლიანობა უნდა იქნეს ცნობილი პირველ არსებით პირობათ, რომელიც საშუალებას აძლევს პროფკავშირთა მოძრაობას საქმით დაიცვას მუშების დღევანდელი მდგომარეობა კაპიტალის იერიშებისაგან და ეცადოს ორგანიზაციულად დარაზმულ შრომის იმ სოციალურ და პოლიტიკურ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც აღნიშნული არიან სხვა და სხვა ქვეყნის მუშათა განცხადებებში. ეს ნათელი გახდა განსაკუთრებით დღეს, როდესაც სწარმოებს სამზადისი ახალი ომისათვის“.

ხსენებული დეკლარაცია მიღებულია ორივე ქვეყნის წარმომადგენელთა თანხმობით. მასში მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობას, რომლის განხორციელება მთავარი პირობაა, დანარჩენი, მუშათა კლასისათვის საარსებო, პირობების მოპოვებისათვის.

მიუხედავად ასეთი დეკლარაციის მიღებისა, ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის მუშაობა არასოდეს მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა და ამის მიზეზი კი ყოველთვის იყო და არის ამ კომიტეტის ინგლისელი წარმომადგენლების მუდმივი საბოტაჟი და უმოქმედობა.

მათ თავიდან არ სურდათ ამ კომიტეტის შექმნა, მაგრამ თუ მაინც შეიქმნა ის, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელმძღვანელებზე დიდ გავლენას ახდენდენ მუშათა მასები.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავების დროს, როდესაც ომის საფრთხემ რეალური სახე მიიღო, საბჭოთა პროფკავშირების ხელმძღვანელებმა არა ერთხელ სცადეს ამ კომიტეტის კონფერენციის მოწვევა შექმნილ მდგომარეობაზე თავისი აზრის გამოსათქმელად და საჯარო მოქმედებისათვის გზების გამოსაძებნად, მაგრამ ტრედუნიონთა გენერალური საბჭოს ხელმძღვანელები განზრახ გაურბოდენ პირდაპირ პასუხს და ამით ხელს უწყობდენ კონსერვატიულ მთავრობას თავისი ანტისაბჭოთა პოლიტიკის გაგრძელებისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს მიერ მრავალი ცდების მიუხედავად, მაინც შეუძლებელი შეიქნა კონფერენციის მოწვევა.

უკანასკნელი დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ გენსაბჭო იძულებული გახდა ხმა ამოეღო და საკავშირო პროფსაბჭოს გამოუგზავნა საპასუხო ცნობა, თუ რისთვის არის ის წინააღმდეგი მთლიანობის კომიტეტის კონფერენციის მოწვევის.

ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნდა როგორც გენსაბჭოს დეკლარაცია ამ საკითხზე, ისე პროფსაბჭოს საპასუხო წერილიც.

დეკლარაცია შეიცავს თავიდან ბოლომდე სრულ სიყალბეს და ეს სჭირდებათ იმიტომ, რომ მიმდინარე ყრილობაზე გაამართლონ თავიანთი საქციელი და მოახერხონ ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის ჩაშლა.

მაინც რას უსაყვედურებენ საბჭოთა პროფკავშირებს?

„1926 წლის ივნისში, საერთო ნაციონალური გაფიცვის შემდეგ პროფსაბჭო გამოვიდა პრესაში სრულიად გაუმართლებელი მტრული იერიშებით გენსაბჭოს წინააღმდეგ

და მკაცრ ფორმებში აკრიტიკებდა ამ გაფიცვის ხელმძღვანელებს"—ვკითხულობთ გენსაბჭოს დეკლარაციაში.

მერე ეს სამართლიანი არ იყო? ნუ თუ გენსაბჭოს მოქმედება 1926 წლის მაისის საერთო გაფიცვაში არ იყო უდიდესი ღალატი მუშათა კლასის მიმართ?

მან ისეთ დროს გასცა ეს გაფიცვა, როდესაც ის ბურჟუაზიის არსებობისათვის საშიშ ფორმებს ღებულობდა. გენსაბჭომ ასეთი მოქმედებით ზურგიდან ჩასცა მახვილი შემალაროეთა გაფიცვასაც, რომელიც რამოდენიმე თვეს გაგრძელდა, მაგრამ ბოლოს მაინც მუშების დამარცხებით დასრულდა.

ის თავაშვებული რეაქცია, რომელიც დღეს ინგლისში მძვინვარებს მუშათა კლასის მიმართ, ამ გაფიცვის დამარცხებით არის გამოწვეული..

განა ამის შემდეგ ჭეშმარიტ რევოლიუციონურ ორგანიზაციას შეეძლო გაჩუმება? ეს იგივე ღალატი იქნებოდა მუშათა კლასის წინაშე.

„1927 წლის 18 ივლისს ინგლისის პრესაში გამოქვეყნებული იქნა საკავშირო პროფსაბჭოს განცხადება, რომელიც პროტესტს აცხადებდა იმის წინააღმდეგ, რომ გენსაბჭომ არ მოიწვია ინგლის-საბჭოთა კომიტეტის კონფერენცია და ბრალს სდებდა გენსაბჭოს საბოტაჟში, ოპოზიციაში, საკითხის გაჭიანურებაში და ორჭოფულ ტაქტიკაში"—დაასკვნის გენსაბჭოს დეკლარაცია.

როდესაც საბოლოოდ გამოირკვა, რომ გენსაბჭოს ბელადები აშკარა საბოტაჟს უწევენ კომიტეტის საქმიანობას, პროფსაბჭო მოვალე იყო ეცნობებია ეს გარემოება ინგლისის მუშათა კლასისათვის.

როცა აშკარა ომის საფრთხის წინაშეც კი გენსაბჭოს ბელადებმა ხელი არ გაანძრიეს, ამის შემდეგ მათგან აბა რას უნდა მოველოდეთ, თუ არა კომიტეტის ჩაშლის ცდას?

ედინბურგის ყრილობის დელეგატთა უმრავლესობის სულისკვეთებას თუ დაუკვირდებით, გენსაბჭო ამ ყრილობაზე ადვილად მიაღწევს თავის მიზანს..

მთლიანობის კომიტეტის ჩაშლა, მშვიდობიანობის საქმის უდიდესი ღალატია გენსაბჭოს ბელადების მიერ. ამით კიდევ უფრო ისარგებლებს ინგლისის იმპერიალიზმი თავის ზრახვების განსახორციელებლად.

მაგრამ სასოწარკვეთილებისათვის საბაბი სრულებითაც არ არსებობს. გენსაბჭოს ბელადებს გარდა ინგლისში არიან მუშათა მასები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ხედავენ თავიანთი განთავისუფლების საწინდარს.

ამ მუშებმა ჯერ კიდევ პოლონეთის ვერაგული თავდასხმის დროს საბჭოთა კავშირზე 1920 წელს შესძლეს ხელი შეეშალათ ინგლისიდან პოლონეთში სამხედრო იარაღების გადმოგზავნისათვის. ეს ის დრო იყო, როდესაც მუშათა კლასი კიდევ ბურუსში იყო გახვეული და არ იცოდა საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი მიზნები.

მას შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ევროპის მუშათა კლასი თანდათანობით თავს აღწევს რეფორმისტების გავლენას და სდგება ჭეშმარიტ რევოლიუციონურ გზაზე. პროფკავშირთა უმცირესობის მოძრაობა ინგლისში თანდათანობით მეტ გავლენას იხვეჭს, ინგლისის კომუნისტური პარტია მხნედ აწარმოებს პროპაგანდა-აგიტაციას მუშათა მთლიანი ფრონტისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის სასარგებლოდ.

ტრედუნიონების დღევანდელმა ხელმძღვანელებმა ერთხელ კიდევ გასცეს მუშათა კლასი, ჩაშალეს ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტი, მაგრამ მას ხელახლა აღადგენს და უფრო მჭიდროდ შეკავშირდება საბჭოთა კავშირისა და ინგლისის მუშათა კლასი.

გენსაბჭოს ბელადების მოქმედება კი შავი ფურცლით შევა მათი მოღვაწეობის ისტორიაში.

ს. ელიაძე.

# ჩემბერლინი და გერმანიის მენშევიზმი

ინგლისის კონსერვატიული მთავრობა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ სულერითანად გაშიშვლდა.

ახლა, როცა ის თავისუფალია საერთაშორისო უფლებრივ ნორმების ტრადიციებიდან, აშკარად და ყველასათვის თვალსაჩინოთ დაადგა ანტი-საბჭოთა გზას.

მაგრამ საბჭოთა საწინააღმდეგო მოქმედება ეკონომიურ ბლოკადის სახით და მით უფრო საომარი მოქმედებით, არც ისე ადვილი საქმე ყოფილა, როგორც ეს ჩვენ წყალ-წაღებულ ემიგრაციას ეგონა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისმა ჯერ ვერაფერი ვერ გააწყო, და თუ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს—ჩემბერლენს დაუჯერებთ, საბჭოთა კავშირის იზოლიაცია შეუძლებელი ყოფილა.

ჩემბერლენმა 28 ივლისს გააკეთა მოხსენება თემთა პალატაში. სადაც განცხადა, რომ ის და მისი მთავრობა სრულებით არ ფიქრობენ საბჭოთა კავშირთან კონფლიქტის კიდევ უფრო გაღრმავებას. მისი სიტყვით ინგლისის მთავრობა მომხრეა ორივე სახელმწიფოს შორის დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენისა, თუ ეს იქნება საგანი საბჭოთა მთავრობის ინიციატივისა და ახალი შეთანხმებისაო.

ჩვენ, რა თქმა უნდა ამ განცხადებას დიდ მნიშვნელობას ვერ მივაკუთვნებთ, რადგანაც ვიცით, რომ დიპლომატი ერთს ლაპარაკობს და მეორეს აკეთებს. პირში გიცინის და ზურგში ვერაგულად მახვილს გცემს.

ინგლისის პოლიტიკის ასეთი ვერაგობის ერთი ნიმუში ჩვენ უკვე გვაქვს ბალტიის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ახალი კურსის სახით. ამჟამად ჟენევაში ერთა ლიგის სესიაზე უნდა მოხდეს ბალტიის სახელმწიფოების, ე. ი. ესტონიის, ფინეთის და ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. რა მიზანს ისახავს ეს თათბირი? პოლიტიკურსა და ეკონომიურსაო გვიპასუხებენ. ჩვენ გვსურს, რომ ამ სახელმწიფოებმა პოლიტიკურად და ეკონომიურად განავითარონ თავისი ნაციონალური სახე, უზრუნველყონ თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაო.

თუ ბალტიის სახელმწიფოები ასეთ მიზანს ისახავენ, რასაკვირველია ამ მიზნით მათ შეკავშირებას და ერთი ფრონტით დარაზმვას, პირველ ყოვლისა მიესალმება საბჭოთა კავშირი, რომლის მიზანსაც შეადგენს პატარა ერების გამაგრება და გაძლიერება.

შუბი ხალათში არ დაიმალებაო იტყვიან და დღეს ვინ არ იცის, თუ რა მიზნით ცდილობენ დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოები ამ პატარა სახელმწიფოების ერთმანეთში მორიგებასა და დარაზმვას.

ინგლისის დიპლომატია დიდ ენერგიას ხარჯავდა და ხარჯავს იმისათვის, რომ როგორმე ბალტიის სახელმწიფოების გეგემონად პოლონეთი გახადოს და ამ გაერთიანებული ფრონტით იერიში მიიტანოს საბჭოთა კავშირზე. ინგლისის მიზანია თავის გავლენის ქვეშ გააერთიანოს ეს ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოები და გამოიყენონ ისინი ბაზათ, როგორც ეკონომიური, ისე სამხედრო გართულების დროს.

მაგრამ პოლონეთი, როგორც ვიცით ვერ ახერხებს ბალტიის სახელმწიფოების მეთაური და გეგემონი შეიქნეს. ამაში მას ხელს უშლის ერთის მხრივ ის გარდაუვალი წინააღმდეგობანი, რომელიც არსებობს პოლონეთსა და ბალტიის პატარა სახელმწიფოებს შორის, მეორეს მხრივ ის, რომ პოლონეთი ინგლისის ლამაზი თვალებისათვის ვერ გადადგამს ისეთ საბედისწერო ნაბიჯს, როგორც არის საბჭოთა დიდ კავშირთან სამხედრო მოქმედების დაწყება.

ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს ის ფაქტები, რომ პოლონეთმა საბჭოთა კავშირის სამართლიანი მოთხოვნილება ამხ. ვოიკოვის მოკვლის ირგვლივ სრულიად დააკმაყოფილა, რითაც ამ ორ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტი ამოწურულად ითვლება.

ასეა თუ ისე, პოლონეთი ჯერ-ჯერობით მაინც ვერ გამოიყენა ინგლისმა თავისი აგრესიული ზრახვების გასა-

ტარებლად საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ. ამას უნდა დაუმატოთ ის ფაქტიც, რომ პოლონეთი ამ ბოლოს დროს თითქოს უბრუნდება თავის ძველ პატრონს—საფრანგეთს. და თუ ეს ასე მოხდა, ისიც ეჭვს გარეშეა, რომ მისი საგარეო პოლიტიკის კურსი ინგლისს არ გამოადგება. ამიტომაც არის, რომ დღეს პოლონეთი აღარ მოსჩანს ბალტიის სახელმწიფოების თათბირზე, რომელსაც იდეურად და პოლიტიკურად ხელმძღვანელობს ჩემბერლენი. ის რაც ძალი და ღონე აქვს ცდილობს, რომ შექმნას ბალტიის სახელმწიფოების ბლოკი და იგი გამოიყენოს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოთ. ამ მხრივ ინგლისი ნაწილობრივ მაინც აღწევს თავის მიზანს. ფინეთში მაგალითად აშკარად დაძრწიან ინგლისის სამხედრო და ეკონომიური ჯაშუშები. მონარქისტ-ემიგრანტების ტერორისტული ჯგუფები, რომლებსაც მფარველობს ფინეთის დემოკრატიული მთავრობა. ამავე დროს ჩემბერლენის აგენტები დიდ ენერგიას ხარჯავენ ესტონიაში, რათა ესტონეთი დაუპირდაპირონ ლატვიას. მათი სურვილია ამ უკანასკნელმა გაუქმებულად გამოაცხადოს საბჭოთა კავშირთან დადებული საგარანტიო პაქტი.

თუ ესტონია და ლატვია ამას არ დაეთანხმენ, ინგლისი მათ ემუქრება ესტონეთ-ლატვიის საბაჟო უნიის მოშლით.

ყოველი ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩემბერლენის განცხადება, თითქოს მას და მის მთავრობას არ სურს საბჭოთა კავშირთან არსებული კონფლიქტის გაღრმავება არის სიცრუე და მითი ისინი ვერავის ვერ მოატყუებს.

ასეთია ინგლისის დიპლომატიის საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულება.

როგორია ამ დროს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის როლი საბჭოთა კავშირისადმი? გერმანიის მენშევიკები—ეს ტიპიური ოპორტიუნისტები, რომლებმაც 1918—19 წლებში, გერმანიის რევოლიუციის დროს აშკარად უღალატეს გერმანიის პროლეტარიატს, დღეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პროპაგანდა-აგიტაციას ეწევიან და თანაუგრძნობენ საბჭოთა კავშირზე ბურჟუაზიულ სახელმწიფოების თავდასხმას. ამისათვის ისინი ცდილობენ გამოიყენონ ჩვენი პარტიული ოპოზიციის ზოგიერთი დებულება და თავს ესხმიან კომუნისტურ პარტიას. ამ საქმეში ერთნაირ ერთგულებას იჩენენ როგორც მემარჯვენე მენშევიკები, ისე მემარცხენენი. აი, მაგალითად რას ვკითხულობთ „ლეიპციგერ პოლქსცეიტუნგის" 193 და „ფორვერტსის" 404 ნომრებში:

„პროცესი შინაურ გარდატეხისა რუსულ კომუნიზმში თანდათან ღრმავდება, რუსული კომუნიზმი აშკარა გადაგვარების გზას დაადგა. რუსეთის განვითარების ფონზე მოსჩანს ეკონომიური ტერმიდორა. ახალი, საბჭოთა ნეპიური ბურჟუაზია და კულაკურ-გლეხური წრეები თანდათან მაგრდებიან საბჭოთა ეკონომიკის მაღლობებზე. ამ ფაქტებმა არ შეიძლება არ გამოიწვიონ ამ ახალი ეკონომიური ძალების პოლიტიკურ სფეროში გადაჭრა, იქ თანდათან გამაგრება და ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. ამნაირად ნეპის სისტემით გლეხების მოღონიერების ფაქტს მოსდევს პოლიტიკაში ღრმა ცვლილებების მოხდენა, ტერმიდორა, ბონაპარტიზმი და სხვა".

როგორც ვხედავთ, გერმანიის სოციალ-დემოკრატია ახალი მეთოდებით იბრძვის ჩვენს წინააღმდეგ. მაშინ როდესაც, ინგლისის კონსერვატიული მთავრობა სამხედრო ინტერვენციისათვის ემზადება—მენშევიზმი ცდილობს კომუნიზმს ახალი გზით ებრძოლოს და მით შეიტანოს ევროპის მუშებში საბჭოთა კავშირისადმი გულგრილობა. ამით ის წყალს ასხამს ბურჟუაზიის წისქვილზე. ამ მოსალოდნელი ინტერვენციის დროს მენშევიზმის ლიდერები მუშებს ეუბნებიან: რუსეთში კომუნისტური პარტია ნეპურ ბურჟუაზიათ გადაიქცა, საბჭოთა კავშირში ბონაპარტიზმი ფეხს იკიდებს და თუ საბჭოებთან ომი დაიწყება, თქვენ რა გენაღვლებათ, ნეპისა და ბონაპარტიზმის დაცვა რა თქვენი საქმეაო.

აი, რა უდევს სარჩულად იმ ბოროტ სისინს, რომელსაც დღეს აწარმოებენ მსოფლიო მენშევიზმის ბელადები და მათ შორის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადებიც.

მაგრამ შესძლებენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადები გერმანიის მუშების მოტყუილებას? განა გერმანიის მუშები თავის მრავალი დელეგაციების საშუალებით არ გაეცნენ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და პოლიტიკურ წყობილებას? განა იქ, გერმანიაში და სხვა სახელმწიფოებშიც არ არსებობენ ჩვენი მოძმე კომუნისტური პარტიები, რომლებიც გააფთრებით ებრძვიან თავიანთ ბურჟუაზიულ კლასებს და მათ მემარცხენე ფრთას—მენშევიზმს? მსოფლიო კომუნისტური პარტია მუდამ აწვდის მსოფლიო მუშათა კლასს მთელ სინამდვილეს საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური სისტემის შესახებ. და თუ როგორ უჯერის საერთაშორისო კომუნიზმს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი, — ეს დღეს ყველასათვის ნათელია.

მაგალითისათვის ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ის გრანდიოზული დემონსტრაციები, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის მოწოდებით ჩატარდა მთელ მსოფლიოში. მე მოგახსენებთ იმ საპროტესტო დემონსტრაციებზე, რომელიც გამოიწვია ამერიკაში საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯამ. საკმარისი იყო ამ მუშების უსამართლოდ დასჯა და მთელი მუშათა კლასი, როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგა. მსოფლიო სოციალ-დემოკრატიამ აქ კიდევ ერთხელ შეირცხვინა თავი, ის გაეთიშა ამ მოძრაობას და თვითონვე დარჩა გარიყული.

ამ დემონსტრაციამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ევროპის და ამერიკის მუშათა მასების სიმპატია კომუნისტებისაკენ არის. ეს კი იმის საწინდარია, რომ მსოფლიო მენშევიზმი ვერ შესძლებს მათ მოტყუილებას, რომ მსოფლიო მუშების თანაგრძნობა ყოველთვის ჩვენ მხარეზე იქნება.

ა. ზელაძე.

# ჟენევის მორიგი „ბაზრობა"

შვეიცარიის სატახტო ქალაქი—ჟენევა მოხერხებულ შესაკრებ პუნქტად არის მიჩნეული საერთაშორისო ბურჟუაზიის დიპლომატების დაუსრულებელ ლაყბობათა გასამართავად „სამშვიდობო" თუ „განიარაღების" კონფერენციების სახით. ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ უკან დაბრუნება 4 აგვისტოს საზღვაო განიარაღების სამთა კონფერენციაზე შეკრებილ დელეგატებს, რომლებმაც ისეთი აშკარა კრახი განიცადეს, რომ კონფერენციის იდეის ავტორებმაც ვერ მოახერხეს ამ კურიოზის დაფარვა და „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი იძულებული გახდა აღიარებია: „ჟენევის კონფერენციის გაკვეთილი აშკარად ადასტურებს იმ შეხედულებას, რომ განიარაღების რომელიმე კონფერენციიდან შეუძლებელია მოველოდეთ სხვა რაიმეს, გარდა უთანხმოების გაზრდისა და უაზრო და უშედეგო მსჯელობისა"-ო და კვლავ იკრიბებიან ახალი ბაზრობის გასამართავად, ისევ „მშვიდობიანობის" და „კეთილმეზობლური" ურთიერთობის დამყარების ნიღაბის ქვეშ.

5 სექტემბერი, ლიგის საბჭოს სხდომების შემდეგ, რომელსაც უნდა მოემზადებია ნიადაგი და გაეფანტა ლიგაში გაბატონებული იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის წარმოშობილი მეტად გაზრდილი უნდობლობის ატმოსფერა, რისი შედეგიც იყო ამ „პატივცემულ" დაწესებულებაში წარმომადგენლობაზე უარის თქმა საფრანგეთის და ინგლისის დელეგატების—დე-ჟუვენელის და რობერტ სესილის მიერ, გაიხსნა ერთა ლიგის პლენარული სხდომა, სესია.

ჩვენ თუ გადავხედავთ ლიგის წარსული. 1926 წ. სექტემბრის სესიიდან დღემდე ჩატარებულ მუშაობას ადვილად დავრწმუნდებით, რომ მას სრულებით არავერი

აქვს გაკეთებული იმ მხრით, რისთვისაც უნდა იყოს ის მოწოდებული. პირიქით, მან კიდევ უფრო მეტი გართულება და გაურკვევლობა შეიტანა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში. ეს არც არის მოულოდნელი და გასაკვირი, რადგან ეს დაწესებულება ფაქტიურად წარმოადგენს არა არბიტრს, რომლის თავისებურ ობიექტივობას მაინც უნდა ემორჩილებოდენ მასში შემავალი სახელმწიფოთა მთავრობები, არამედ უპრეტენზიო გამტარებელია მასში გაბატონებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული პოლიტიკის. და რამდენათაც ამ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის არსებობს დაუძლეველი წინაალმდეგობანი, იმდენადვე ეს დაწესებულება იძლევა ამ წინალმდეგობათა ანარეკლს, მათ შორის წარმოებულ დიპლომატიურ ჭიდილის სურათს. ლიგაში შემავალი სახელმწიფოთა მთავრობები იმდენად აფასებენ და უწევენ ანგარიშს ამ დაწსეებულებას, რამდენათაც იგი მათი ინტერესების და პოლიტიკის დამცველი და გამომხატველია.

ეს ჭეშმარიტება გარკვეულად სთქვა ფლორენციაში ფაშისტების კონგრესზე ერთა ლიგის საპატიო წევრმა—იტალიის დოქტორმა მუსოლინმა, რომელმაც შემდეგი დახასიათება მისცა მას:—„ჩვენ არ ვიზიარებთ ცხოველმყოფელობას იმ პრინციპებისას, რომლებიც ასულდგმულებენ ე. წ. ერთა ლიგას. ის წარმოადგენს სამღვთო კავშირს პლუტოკრატიულ ერებისას, ინგლის-საფრანგეთ-საქსონიის ჯგუფებისას და დაარსებულია იმ მიზნით, რომ უზრუნველჰყონ, მიუხედავად ინტერესთა აუცილებელი წინალმდეგობათა, თავისი ბატონობა და ექსპლოტაცია დედამიწის უმეტეს ნაწილზე“.

იტალიის გამარჯვებული ფაშისტური რეაქციის ხელმძღვანელის მიერ ერთალიგის ასეთ დახასიათება სრულად დასაჯერებელია, მაგრამ თვით მუსოლინის მიზანიც ერთა ლიგაში მხოლოდ ის არის, რომ ამავე საქმისათვის გამოიყენოს ის, რომ მისი საშუალებით მოახერხოს თავისი იმპერიალისტური ამოცანების გადაწყვეტა.

ეხლა მიმდინარე სესიის მუშაობაც, რა თქმა უნდა, მისთვის ჩვეული დიპლომატიური კომბინაციებითაა დატვირთული, ხოლო ამ საქმეში ყველაზე დიდ სიაქტივეს იჩენს ინგლისის კონსერვატიული მთავრობის დელეგაცია.

ბრიანის „დაგვიანებით“ მოსვლა და ვანდერველდეს სესიიდან „მოულოდნელი“ უკან გაწვევაც მხოლოდ ინგლისის საწინაალმდეგო დიპლომატიურ მანევრებს წარმოადგენს. ინგლისი, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტად არის დაინტერესებული მიმდინარე სესიით, რადგან ერთა ლიგის საშუალებით უნდა მას გაატაროს ის გეგმები, რაც ვერ მოახერხა თვითეულ სახელმწიფოსთან ცალკე მოლაპარაკებით და კონფერენციებით. მას უნდა ერთა ლიგა გამოიყენოს ანტი-საბჭოთა კოალიციის ღერძად, რათა უფრო ადვილი გახდეს ამ ბლოკში შემავალ სახელმწიფოთა დამორჩილება და აქტიური გამოყენება საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ.

ინგლისის დიპლომატიის გამარჯვება ამ ფრონტზე,—ეს იქნებოდა აგრეთვე მისი პოლიტიკური და ეკონომიური გაბატონება ევროპის კონტინენტზე, მისი ჰეგემონიის გამარჯვება, რაზედაც დიდი ხანია ოცნებობს ინგლისის ბურჟუაზია. როგორც სჩანს, მან რამოდენიმედ მოახერხა ამ მხრით ნიადაგის მომზადება, ბალტიის ლიმიტროფიების თავის გავლენის ქვეშ დაყენებით, და სესიაზე ცდილობს ასეთივე გავლენა გააგრძელოს პოლონეთ-რუმინეთ-გერმანიაზეც, რომ ამით საბოლოვოდ შექმნას აღმოსავლეთ ევროპის გაერთიანებული ფრონტი, აღმოსავლეთ ევროპის ლოკარნო, პლატფორმა საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ.

სწორედ ამ კომბინაციების შექმნის განზრახვით აიხსნება ის გარემოება, რომ სესიაზე ასე დიდი მნიშვნელობით წამოიჭრა დანციგის და მემელის საკითხები. აქედან სჩანს, რომ გერმანია დიდ კომპენსაციებს მოითხოვს არა მარტო რეინის ოლქის საკითხში, არამედ ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვითაც აღმოსავლეთ ევროპის სფეროშიც, რაც არა ხელსაყრელია საფრანგეთის და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებისათვის, რადგან ამას შეუძლია გამოიწვიოს მათთვის სასარგებლო ვერსალის ხელშეკრულებით მოცემული სტატუსქვოს დარღვევა. აქ არის სწორედ განსაკუთრებული ის საბედისწერო მორგვი, რომლის გახსნას ვერ ახერხებს ბურჟუაზიის დიპლომატია, რაც უბორკავს მათ ხელებს აგრესიული ზრახვების განხორციელებაში.

ამიტომ საეჭვოა, რომ ინგლისის მოქნილი დიპლომატია არ დამარცხდეს ეხლაც, ერთა ლიგის მიმდინარე სესიაზე ისე, როგორც ყოველთვის. ძლიერ საეჭვოა, რომ ინგლისმა მოახერხოს ამ სიძნელეთა დაძლევა, გერმანიის სასარგებლოდ სხვის ხარჯზე ამოდენი კომპენსაციების გაღება, და ამიტომაა, რომ ასე ბევრს ლაპარაკობენ ერთმანეთისადმი უნდობლობის ატმოსფერაზე, რომ ასე დიდი ბაზრობა და ვაჭრობაა გამართული სესიის კულისებში სხვადასხვა კომისიების დახურული სხდომების სახით.

ერთა ლიგის ამ მორიგ ბაზრობაზე, ერთი რამ ცხადად სჩანს. ნგლისის ინიციატივით, დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა კავშირის საკითხის გარჩევას, ანტი-საბჭოთა კოალიციის შექმნას.

პოლონეთის განზრახვა: ლიგაში შემავალ სახელმწიფოთა შორის საერთო თავდაუსხმელობის პაქტის დადების წინადადების შეტანის შესახებ სესიაზე, რითაც იგულისხმება არა მარტო გერმანია-საბჭოთა კავშირის მხრივ საზღვრების დაცვის გარანტია, არამედ წინაალმდეგიც.—მისი მხრივ შესაძლებელი თავდასხმის გამართლება,—ნაკარნახევია ინგლისის მიერ.

ეს ერთხელ წამოცდა კიდეც ფინეთის მთავრობას, ერთა ლიგისადმი გაგზავნილ წერილში, რომელშიც ნათქვამია, ერთა ლიგის წევრსა და არა წევრს (იგულისხმება საბჭოთა კავშირი) შორის მომხდარ კონფლიქტებში, უკანასკნელი უნდა ვიცნოთ თავდამსხმელ სახელმწიფოთ.

ერთა ლიგის მიმდინარე სესიის ამ მორიგი „ბაზრობის“ შემდეგ მაინც, აშკარა იქნება ყველასათვის, თუ ვის ემსახურება ის, რა მიზანს ისახავენ მასში შემავალი სახელმწიფოები, რას წარმოადგენს ეს „პატივცემული“ დაწესებულება, თუ ვის ემსახურებიან ბურჟუაზიის მიერ იქ წარგზავნილი „სოციალისტი“ დელეგატები—პოლ-ბონკური და-დე ბრუკერები.

ეხლა უკვე აშკარაა თუ როგორ უტიფრად ატყუებენ ხალხს ერთა ლიგის სხვადასხვა ჯურის პაციფისტები.

ეხლა უკვე აშკარაა, რომ ერთა ლიგის საშუალებით მებრძოლი რეაქცია თვით ამზადებს ომს.

მაგრამ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები ფხიზლად ადევნებენ თვალს მათ საქმიანობას, რომ მომზადებული დახვდეს რეაქციის შემოტევას. საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლიუციონური განწყობილებაც, რაც ყოველდღიურად იზრდება და ფართოვდება, შესაფერ შეფასებას მისცემს ერთა ლიგის აგრესიულ კომბინაციებს, თავის ადგილს მიუჩენს მათ გეგმებს, სათანადო პასუხს გასცემს მათთვის საბედისწერო სურვილების განხორციელების ცდას.

ქ. ჭეიშვილი.

# ქართველი ქალი ქართველ ქალებს

თებერვლის რევოლიუციამ გადასწყვიტა საუკუნოების მანძილზე წარმოებული ბრძოლა რუსეთის მონარქიული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ახალი ფურცელი გადაშალა რუსეთის ტერიტორიაზე მობინადრე ერების და მშრომელი ხალხის ისტორიაში.

თებერვლის რევოლიუციის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო მუშათა კლასი, მაგრამ რუსეთის რეფორმისტ-სოციალისტური პარტიების წყალობით, რომლებმაც ჩაიგდეს ხელში რევოლიუციის ხალმძღვანელობა, რევოლიუციის მონაპოვარს დაეპატრონა ლიბერალური ბურჟუაზია.

ბურჟუაზიასთან კოალიციაში შესული სოციალისტური პარტიები სავსებით ჩამორჩენ რევოლიუციას, ჩამოშორდენ რევოლიუციონურ მასებს და გაექცენ რევოლიუციის მიერ წამოყენებულ სოციალ-პოლიტიკური კითხვების გადაწყვეტას. ისინი გაყვენ მილიუკოვ-გუჩკოვების იმპერიალისტურ პოლიტიკას და შეუდგენ მათი საქმის კეთებას. რუსეთის ბურჟუაზია კერენსკი-ჩხეიძეების ხელით განაგრძობდა ძველ აგრესიულ პოლიტიკას, რაც გამოიხატებოდა ლოზუნგში: „ომი გამარჯვებამდე"!

ესერ-მენშევიკების პოლიტიკამ დაამარცხა თებერვლის რევოლიუცია. მის გამოსაბრუნებლად და სწორ გზაზე დასაყენებლად საჭირო შეიქნა წითელი ოქტომბერი.

ეს მოახდინა იმავე რუსეთის მუშათა კლასმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, ოქტომბერმა იხსნა თებერვლის რევოლიუცია და სამუდამოთ გასრისა მის წინააღმდეგ დარაზმული კონტრევოლიუცია.

ამ ისტორიულ მომენტში, საქართველოს მუშათა კლასი დარჩა ოქტომბრის რევოლიუციის გარეშე; რევოლიუციის პირველ ხანებში იგი დარჩა სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობის ქვეშ. უკანასკნელმა გარეშე ძალების დახმარებით მოახერხა თავის პოზიციების გამაგრება და მით დროებით მაინც თავიდან აიცილა ოქტომბრის რევოლიუცია.

ამ ხანას საქართველოს მშრომელი ხალხისათვის არ ჩაუვლია უმტკივნეულოდ: ის ინსტიქტიურად გრძნობდა რუსეთის რევოლიუციის კერადან მოწყვეტით მოსალოდნელ საფრთხეს. მაგრამ ვერ ახერხებდა თავისი სუსტი ძალებით მის გარშემორტყმული ძაგარი კედელის გარღვევას, ვერ ახერხებდა საქართველოში გაბატონებული უცხო სამხედრო ძალების დაძლევას და რევოლიუციონურ რუსეთთან შეერთებას.

რუსეთის რევოლიუციის მიერ განდევნილმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ, მიუხედავად მრავალი პოლიტიკური და დიპლომატიური კომბინაციებისა, რომელსაც ისინი მიმართავდენ ოქტომბრის ასაცილებლად, ვერ მოახერხა ოქტომბრის რევოლიუციონური ქარიშხალის აცილება და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში ალიმართა კომუნისტური პარტიის დროშა და ამ დღიდან გაერთიანდა საქართველოს რევოლიუციონური ფრონტი მის ბუნებრივ მოკავშირე-რუსეთის მუშათა კლასთან, რომელთაგანაც ის დაკავშირებული იყო თავისი რევოლიუციონური წარსულით.

უკვე შეშვიდე წელია, რაც საბჭოთა ხელისუფლების მეთაურობით ჩვენ ვეწევით დაუღალავ მუშაობას რევოლიუციის მონაპოვართა განსამტკიცებლად, სოციალისტური სახელმწიფოს შენების, ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების საქმეს. ამ მუშაობაში ჩვენ ბევრი დაბრკოლებები გველობება, ბევრი გვიშლის ხელს, როგორც შიგნით, ისე გარედან აქტიურად თუ პასიურად, მაგრამ მიუხედავათ ამისა, თუ ჯამს გაუკეთებთ ჩვენს მიღწევებს, აშკარად დავინახავთ,რომ იმდენი საქმე,რაც ამ 6—7 წლის განვლობაში გაკეთდა საბჭოთა საქართველოში, საუკუნეთა განმავლობაში არ გაკეთებულა ჩვენში.

ამას ყველა ხედავს, ეს ყველას სჯერა, მაგრამ ეს არ უნდათ დაიჯერონ ჟორდანია-რამიშვილმა,რომლებმაც დაკარგეს რა ყოველგვარი პასუხისმგებლობის გრძნობა ხალხის წინაშე, რესტავრაციის დიდი სურვილით გონება დაკარგულნი, არ ერიდებიან არავითარ საშუალებას საბჭოთა ხელმძღვანელობის საწინააღმდეგო მუშაობაში, არ ერიდებიან მთელი ერის ფიზიკური განადგურებასაც და აშკარა რეაქციონურ ძალებთან თანამშრომლობასა და კავშირს.

მათდა სამწუხაროდ, ამ საქმეში, მათ ძლიერ ცოტა ანგარიშს უწევენ, მათ სურვილზე ძლიერ ცოტაა დამოკიდებული, მაგრამ საერთაშორისო რეაქცია მაინც ხმარობს მათ პროვოკაციულ ორგანიზაციას, ხმარობს ქართველი ემიგრაციის აგენტურას ქართველი ერის სახელის ისტორიაში არნახულ უზურპატორებს, რომ ხელი შეუშალოს ჩვენს მუშაობას, სოციალიზმის საქმეს, შექმნას ქვეყანაში ანარქია და უნდობლობის ატმოსფერო.

ქართველო ქალო! ქართველო დედავ! შენ არა ერთი შეგნებული რევოლიუციონერი აღუზარდე და მიეცი შენს ქვეყანას, შენ არა ერთხელ აგიმაღლებია ხმა რევოლიუციონურ საქმის დასაცავად. დიდია შენი ღვაწლი და მონაწილეობა რევოლიუციის გამარჯვების საქმეში. და დღეს, როდესაც საერთაშორისო რაქცია და მისი მოციქულები,—ქართველი ემიგრაციის ხელმძღვანელები,—ამზადებენ ახალი სისხლის ღვრას, საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყებას და ჩვენს ქვეყანაში პროვოკაციების მოწყობას, შენი ვალია სთქვა შენი გაბედული სიტყვა.

ქართველ ქალს, ქართველ დედას, არ შეუძლია ზიზღით არ ახსენოს აგვისტოს ავანტიურის ავტორები, მას არ შეუძლია გულგრილად შეხვდეს ქართველი ემიგრაციის ახალ პროვოკაციულ განზრახვებს.

ქართველი ქალი, ქართველის დედა, გაბედულად შეებრძოლება სისხლისღვრის და პროვოკაციის ავტორებს, აქტიურად შეხვდება მათ გამოწვევას და მტკიცედ დადგება რევოლიუციის სადარაჯოზე თავისი შვილების, ძმების და ქმრების სიცოცხლის დასაცავად.

ელენე მაისურაძე.

# ს ა ნ ა ვ თ ო ო მ ი

განსაკუთრებით იმპერიალისტური ომის შემდეგ ბრძოლამ ნავთისათვის მიიღო ღია პოლიტიკური სახე. დიდი ქვეყნების პოლიტიკოსებმა ჭეშმარიტებათ აღიარეს ერთ ინგლისელ მინისტრის განცხადება, რომ ომი ნავთმა მოიგო.

მართლაც იმპერიალისტური ომის ანალიზი ადვილათ დაგვარწმუნებს იმაში, რომ მის გადაჭრაში ნავთმა უდიდესი როლი ითამაშა. ნავთის სამეტოქეო ასპარეზზე გამოჩნდა გარდა დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების, საფრანგეთი და იაპონია.

ორთავე ეს სახელმწიფო მოწადინებულია მილიტარული მარაგი გააძლიეროს და ამით თავისი ძალა მოწინააღმდეგეს ხელდახელოთ დაანახოს. გარდა სამხედრო ფლოტისათვის საფრანგეთს ნავთი ესაჭიროება ძლიერ საჰაერო ესკადრილისათვის და საავტომობილო საომარი საშუალებებისათვის (ტანკები და სხვ.). იაპონიისათვის აღმოსავლეთ აზიაში გაძლიერება სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია. შეერთებული შტატების ექსპანსივობა ამ მხრივ, იაპონიისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს, ამიტომ ეს პატარა ქვეყანაც მიისწრაფვის დაიჭიროს სათანადო ადგილი საერთო სანავთო კონცერტაში. კუნძულ ფორმოზაზე არსებული ნავთის მარაგი იაპონიას ვერ დააკმაყოფილებს, ამიტომ ადვილი ასახსნელია ის დიდი ინტერესი, რომელიც მან გამოიჩინა ჩრდილო სახალინის ნავთისადმი, როდესაც იქაური კონცესიები ამერიკის სანავთო საზოგადოებას: Sinclair Consolidated Oil Corporation-ს გადაეცა. ეს კომპანია დამთავრდა იმით,

რომ სინკლერის კონცესია ანულიაცია ყოფილ იქნა და ჩრდილო სახალინის ნავთიანი მინდვრები იაპონიამ მიიღო.

მეორე მხრით შეერთებული შტატები ბუნებრივად მოიწევს აღმოსავლეთ აზისაკენ და ცდილობს იაპონიის გაძლიერებას თავის ძალა დაუყენოს. შეერთებული შტატების მოთხოვნილებას საშინაო ნავთის წარმოება არ აკმაყოფილებს. და ამიტომ არის, რომ განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში უცხო ქვეყნების სიმდიდრეს დაპატრონებას ლამობს. თუ ამ გარემოებას უკვე აღნიშნულ ინგლისის ექსპანსივობას დაუმატებთ აშკარა გახდება თუ რამდენად ერთი მეორეს საწინააღმდეგო ფაქტორებთან გვაქვს საქმე. ომი ნავთისათვის დროს და მიხედვით თან დათან მწვავდება, ის წინანდელ წმინდა ეკონომიურ სახეს კარგავს და გამოკვეთილ პოლიტიკურ ხასიათს ღებულობს.

შეერთებული შტატები, როგორც ომამდე ისე ომის შემდეგ ნავთით მდიდარი ქვეყანა იყო. როგორც საშინაო ისე საგარეო ბაზა უდიდესი და უძლიერესი გააჩნდა. მის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა მსოფლიო წარმოების 75 პროც. და ამდენივე პროცენტს თავისი მოთხოვნილებისა შინაური მარაგით იკმაყოფილებდა. დარწმუნებული თავის სიძლიერეში, შეერთებული შტატები ნავთის საკითხში აყენებს ე. წ. „ღია კარების“ პოლიტიკას. ღია კარებს ქადაგობს ის ქვეყანა, რომელიც არც ერთ დანარჩენ სამეურნეო პოლიტიკის საკითხებში ასეთ რამეს მისაღებათ არ სთვლის. რა თქმა უნდა სხვა ქვეყნებისათვის „ღია კარების“ პოლიტიკა მიუღებელი იყო (ამ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ინგლისი უნდა ვიგულისხმოთ). ყოველშემთხვევაში მანამდი, სანამ მოთხოვნილებათა უდიდესი ნაწილი დაკმაყოფილებული არ ექნებოდათ. გარეგნულად დიდი ბრიტანეთი შ. შტატების ამ პოლიტიკას მხარს უჭერდა, მაგრამ სინამდვილეში ცდილობდა გარეშე საქმიანობით სანავთო საკითხის თავის სასარგებლოდ მოგვარებას და აქ ჩვენ ვხედავთ, რომ შეერთებული შტატები ინგლისს ბრალს სდებს, რომ ის არა მარტო თავის ქვეყნებში, არამედ სხვა სახელმწიფოებში დაც „ღია კარების“ პოლიტიკას ხელს უშლის და ცდილობს მხოლოდ თავისი ინტერესების უზრუნველყოფას-ო. ასეთი გამოსვლის ხალასი მიზეზი იყო ბრძოლა (პირველად ფარული), რომელიც კუნძულ სუმატრას და ბორნეოს კონცესიების გარშემო გაიმართა. აღნიშნული კუნძულები ჰოლანდიის მფლობელობაშია. უნდა გაცემულიყო ჯამბას რაიონის კონცესიები. ჰოლანდიის მთავრობას უნდოდა კონცესია ჰოლანდიურ საზოგადოებისათვის გადაეცა. ამ შემთხვევაში „როიალ დუტშ-შელი“ (დეტერდინგი) იყო დაინტერესებული. ის უწყობდა ხელს მთავრობის პოლიტიკას. რასაკვირველია შეერთებულმა შტატებმა განაცხადა თავისი პრეტენზიები. საკითხის გარჩევის დროს ჰოლანდიის მთავრობამ შ. შტატების ოფიციალური ნოტა მიიღო, რომელიც ჰოლანდიის ინტერესებს შეერთებულ შტატებში რეპრესიებით ემუქრებოდა. 1921 წლ. მაისში „როიალ დუტშ-შელმა“ მიიღო მთელი კონცესია, მხოლოდ მთავრობამ განაცხადა, რომ ის დარჩენილ მინდვრებს მისცემდა უცხო კონცესიონერებს ჰოლანდიის მთავრობის მონაწილეობით. აქ იაპონიაც გამოჩნდა ჰორიზონტებზე და თავისი მოთხოვნილებები წარმოადგინა. მთელი კომპანია დამთავრდა იმით, რომ შეერთებულმა შტატებმა კუნძულ ბორნეოზე სამაგიერო კონცესია მიიღო. ხოლო სუმატრაზე როიალ დუტში და იმის სახით ინგლისი გაბატონდა. შ. შტატების კონცესია შედარებით უმნიშვნელო იყო.

მწვავე ხასიათი მიიღო ბრძოლამ მესოპოტამიის საკითხის გარშემო. ჯერ კიდევ 1903 წ. ბაღდადის რკინისგზის საზ. მიიღო ოცი კილომეტრის მანძილის კონცესია რკინის გზის ლიანდაგის ორივე მხარეზე. სამთამადნო წარმოებისათვის. 1914 წ. ინგლისმა მიიღო სანავთო კონცესია მესოპოტამიაში. 1916 წ., ომის დროს ინგლისი შეუთანხმდა საფრანგეთს, რომ ეს უკანასკნელი მესოპოტამიის ნავთის მინდვრებიდან თავის წილს მიიღებდა. ეს წინასწარი შეთანხმება 1920 წლ. აპრილში მომხდარმა სანრემოს ხელშეკრულებამ გაანაღდა. საფრანგეთს მიეცა 25 პროც. მონაწილეობის უფლება, რამაც შეერთებული შტატები ყალხზე დააყენა.

ოფიციალური ნოტით განცხადებული იქნა პროტესტი, რომელიც ეყრდნობოდა რა ერთა ლიგის კონსტიტუციის მე-22 მუხლს მოითხოვდა სამანდატო ქვეყნების საკითხების გარჩევის დროს ამერიკის აუცილებელ მონაწილეობას. ნოტაზე ინგლისმა ვრცელი მემორანდუმით გასცა პასუხი, რომლიდანაც ნათლად სჩანდა, რომ მას განზრახვა ქონდა მესოპოტამიაში მონოპოლიის მოპოვების. დანარჩენი ეტაპები ამ ბრძოლის სიძნელით არის მოცული, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში უკვე ირკვევა, რომ შეერთებულმა შტატებმა მესოპოტამიის კომპენსაცია ინგლისის ლოცვა-კურთხევით სპარსეთში მიიღო.

1922 წლ. გენუას კონფერენციაზე ნავთმა და ნავთის საკითხმა გადამჭრელი როლი ითამაშა. მართალი იყო ერთი პოლიტიკოსი, როდესაც ამბობდა, რომ გენუას კონფერენციას ნაღმი ნავთმა დაუდვა და ააფეთქაო.

ყოფ. რუსეთის ნავთი თავიდანვე დიდ ინტერესს იწვევდა ბაქოს და გროზნოს სანავთო მრეწველობაში. უცხოეთის კაპიტალი უმნიშვნელოვნეს როლს თამაშობდა. საკმარისია დავასახელოთ ორი მთავარი ფირმა: ძმ. ნობელი და როტშილდი. მას შემდეგ რაც ნავთის ნაციონალიზაცია ეყო და ბატონ-პატრონი სახელმწიფო გახდა, ყოფილი მაგნიტები ცხადია ცდილობდენ სხვადასხვა გვარი კომბინაციებით ერთგვარ გავლენის მოპოვებას. უწინ როგორც ამერიკა ისე ინგლისი სათანადო გავლენით სარგებლობდა. გაპაბჭოების შემდეგ ინგლისმა, როიალ დუტშის საშუალებით როტშილდს დაუკავშირდა. ხოლო ამერიკის უდიდესმა ფირმამ ძმ. ნობელებს შეეკრა. გენუას კონფერენციის დროს როიალ დუტშმა მოლაპარაკება გამართა საბჭოთა მთავრობასთან ნავთის შესახებ. აქ ამერიკელებმა თავი დაჩაგრულად იგრძნეს დაახლოვებით ისეთივე არგუმენტებით გამოვიდნენ როგორც ამჟამად საბჭოთ ნავთის შესახებ. ამერიკელების წინააღმდეგ დეტერდინგის ჯგუფი გამოდის. კონფერენცია დაიშალა უშედეგოთ. საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ ორგანიზაციული გამოსვლა არ მოხერხდა. მაშ ინგლისელების პოლიტიკა აშკარა იყო: დამოუკიდებლად თავისი სანავთო ინტერესების დაცვა. გამოდიოდენ რა ამ დებულებიდან ინგლისელები არავითარ მსხვერპლს აღარ ერიდებოდენ.

აქ ჩვენ მოკლეთ აღვნიშნეთ სანავთო ომის სხვადასხვა ეპიზოდები, რომლიდანაც შემდეგი დასკვნები გამოგვყავს:

1. ომის წინა ხანებში და განსაკუთრებით ომის შემდეგ სანავთო ექსპანზივობამ მიიღო პოლიტიკური სახე.

2. შეერთებული შტატების მიერ წამოყენებული დებულება „ღია კარების“ შესახებ ბრძოლის პრაქტიკამ უარყო.

3. მიმდინარე პერიოდში სანავთო ომი სწარმოებს ორ მთავარ სახელმწიფოს შორის, შ. შტატები და ინგლისი. დანარჩენი ქვეყნები: საფრანგეთი, იაპონია ჯერ-ჯერობით მეორე ხარისხოვან როლს თამაშობს. მათი როლი მომენტის მიხედვით უფრო ძლიერი მეტოქის მხარის დაჭერაში გამოიხატება. (მესოპოტამიის საკითხი, სუმატრა, ბორნეო).

4. სანავთო ომი ამდენხანს „ღია კარების“ პრინციპით დაფარული, აშკარათ არ ჩნდა. დამოუკიდებელმა მოქმედებამ ცალკე დაინტერესებული ქვეყნების მიერ სანავთო ომს ღია, აშკარა სახე მისცა, რაც როიალ დუტშისა და სტანდარტ ოილოფ ნიუჯერსის შორის ამტყდარ ბრძოლით აღინიშნება.

ამაზე შემდეგ.

ი. ნარსია.

# რას ემყარებიან ქართველი მენშევიკები?

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტამ და ომის საშიშროების წარმოშობამ კვლავ აამოძრავა ქართველი მენშევიკები. ეს არც არის გასაკვირი. მენშევიკებმა დიდი ხანია, რაც დაკარგეს გარკვეული ბრძოლის ხაზი.

როდესაც პოლიტიკური ბრძოლა მოკლებულია ეკონომიურ საფუძველს. მაშინ მისი გამართლება მეტად ძნელია. საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაეყრდნო ნაციონალიზმს. მან სოციალიზმის დროშა გასცვალა ეროვნულ დროშაზე, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

საქართველოში ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება სწორედ საბჭოთა ხელისუფლეზის დამყარების დღიდან დაიწყო. ახალი ხელისუფლების დამყარებით ჩვენს ქვეყანაში საგრძნობლად გაუმჯობესებულ იქნა მუშების მატერიალური მდგომარეობა, სოფლად მიწის რეფორმა გატარებულ იქნა დაკვრითი წესით, რასაც მოჰყვა სასოფლო მეურნეობის აღორძინება.

საერთოდ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის გაუმჯობესება მუშათა კლასის ინტერესების საუკეთესოდ დაცვაში გამოიხატა. ამიტომ თეთრის შავად მოჩვენების ცდა იქნებოდა, რომ მენშევიკურ პარტიას დაეწყო მტკიცება საქართველოს მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მენშევიკებმა გამონახეს ბრძოლის სხვა საშუალება: წამოაყენეს ქართველი ხალხის „ეროვნული ჩაგვრის" ყალბი ლოზუნგი, მაგრამ უკვე მეშვიდე წელია და ვერ ახერხებენ ქართველი ხალხის მობილიზაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ესა თუ ის პოლიტ. ორგანიზაცია, რომელსაც ბრძოლის გარკვეული მიზანი აქვს უნდა განიცდიდეს ნორმალურ ზრდას, რათა განახორციელოს თავისი მისწრაფებანი.

საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ განიცადა საწინააღმდეგო მოვლენა; რაც დრო გადიოდა მით უფრო თხელდებოდა მენშევიკურ პარტიის რიგები, ძველ მუშებმა ათასობით დასტოვეს მენშევიკური პარტია, ჩამოშორდა მას მშრომელი ინტელიგენცია, ეს ჩამოშორებული ხალხი, შეგნებულად და აქტიურად ებრძვის მათ „საქმიანობას". თავისთავად ცხადია, რომ პარტიას, სადაც ადგილი აქვს ასეთ ფართო შინაგან ორგანიზციულ რღვევას და დაშლას, აღარ შეუძლია ბრძოლის გაშლა და გამარჯვების გარკვეული პერსპექტივების მოცემა.

პირველ ხანებში ემიგრაციის ლიდერები ახერხებდენ უკმაყოფილო ელემენტებში ევროპის სხვადასხვა კონფერენციებით და კონგრესებით ილიუზიის შექმნას, დიდის იმედით ხვდებოდენ და აცილებდენ თვითეულ ასეთ სალაყბოს, მაგრამ უშედეგობამ საბოლოოდ კიდევ უფრო დიდი უიმედობა შექმნა და ამის შემდეგ იბადება იდეა საბჭოთა ხელისუფლების, საკუთარი ძალებით დაცემის, აგვისტოს ავანტიურის მოწყობის. აგვისტოს ავანტიურამ ხომ კიდევ უფრო გამოააშკარავა მენშევიზმის იდეური სიკოტრე და დააჩქარა რღვევის პროცესი ამის შემდეგ, პარიზელი ვაჟბატონები, რომლითაც სუბიექტიურად არ შეუძლიათ საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგება, კიდევ სცდილობენ ბრძოლის ახალი მეთოდების შემუშავებას, ურჩევენ და ავალებენ ქართველ ხალხს (ნუ თუ ველარ მიხვდენ, რომ ქართველმა ხალხმა დიდი ხანია იხსნა თავი მათი მონოპოლიიდან!?) რომ საბჭოთა წინააღმდეგ მიმართავენ იარაღს მხოლოდ შესაფერის მომენტში. ეს არის ყოვლად უაზრო პროვოკაცია გონება დაკარგულ ემიგრაციის ხელმძღვანელების, ეს არის ყოვლად უპასუხისმგებლო და ისტორიაში არნახული მოქმედება, რასაც სასტიკი პასუხი უნდა გაეცეს ჩვენი ახალგაზრდობის ხელისუფლებასთან უფრო მჭიდრო დაკავშირებით და დარაზმვით.

ვ. ჩომახია.

# წაგებული ბრძოლა

საქართველოს მშრომელ ხალხს ჯერ კიდევ ვერ მოურჩენია ის ჭრილობა, რომელიც მას მიაყენა ჟორდანია-რამიშვილის სისხლიანმა ავანტიურამ აგვისტოს დღეებში, რომ კვლავ ახალი აგვისტოსაკენ მოუწოდებს მათ ეს პოლიტიკურად ზნედაცემული ადამიანები.

როგორც სჩანს, ემიგრაციის ხელმძღვანელები ვერ ურიგდებიან ისტორიის მიერ გამოტანილ განაჩენს—მათ განდევნას პოლიტიკურ ასპარეზიდან, და სახელმწიფოს ხელმძღვანელობიდან—და ყოველივე საშუალებას მიმართავენ, რომ ხელი შეუშალონ ჩვენს მყუდრო მუშაობას და ცხოვრებას, კვლავ იმპერიალისტების სათარეშო ბაზად გადააქციონ ჩვენი ქვეყანა. პირველ ხანებში, შეიძლება, ერთგვარი სანტიმენტალობითაც შეხვდენ სოც. მოღალატეების ასეთ ბედს კერზონ-პუანკარეებმა და დააიმედეს კიდეც საბჭოთა ხელისუფლბის წინაალმდგ დახმარების გაწევაში, რაზედაც მათ მრავალი ილიუზიები შექმნეს, მაგრამ დღეს ეს ზღაპარი არავის აღარ სჯერა. რა თქმა უნდა, ეს მოხდა არა იმიტომ, რომ ევროპის ბურჟუაზიას არ უნდოდეს, არ ცდილობდეს საბჭოთა ხელისუფლების დაცემას, არამედ ის უძლურია საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში;; რეალურ ძალთა განწყობილება აიძულებს მას, რომ ფრთხილად იყვეს, დროებით ხელი აიღოს აგრესიულ გეგმებზე. ასეთ პირობებში, ცხადია, მას არ შეუძლია აქტიური დახმარება გაუწიოს ქართველი მენშევიზმის ხელმძღვანელებს რესტვარაციის ფანტასტიური სურვილების განხორციელებაში, რაც კიდევ უფრო მეტ ნერვიულ განწყობილებას ქმნის მათში, კიდევ უფრო მეტად აბრაზებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და აღარაფერს ერიდებიან გაუგებრობასა და ანარქიის შესაქმნელად თუ კი როგორმე მოახერხებენ ამას.

ამ მიზნით მათ გადაუწყვეტიათ საქართველოში ახალი სისხლის ღვრის მოწყობა. ახალი აგვისტოს მომზადება,რითაც ფიქრობენ ყველასაგან დავიწყებული მათი მდგომარეობის გახსენებას, მაგრამ საქ. მშრომელი მასა ეხლა უკვე ფხიზლად ხვდება მათ ასეთ ზრახვებს, რაც სრული გარანტიაა მისი აცილების. აგვისტოს ავანტიურამ საბოლოოდ გააფრთხილა ქართველი ხალხი მათ პროვოკაციულ მუშაობიდან და მოაშორა მათ ძველ გავლენას და ავტორიტეტს; მისთვის ერთხელ და სამუდამოდ ნათელი გახდა მენშევიზმის ბუნება და სამარცხვინო მიზნები, ისტორია შავი ასოებით ახაზავს 1924 წ. აგვისტოს ავანტიურას და მისი ავტორების ბოროტ საქმიანობას, რომლის გვერდით ყოველთვის აღბეჭდილი იქნება მემნშევიზმის შავი ფიგურა.

კალე ჯღამაია.

# კიდევ გაფრთხილება

ოქტომბრის რევოლიუცია უდიდესი ფაქტორია მთელ მსოფლიოში საერთაშორისო ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრების გარდასაქმნელად, ახალი სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობის შესაქმნემლად, სოციალიზმის გასამარჯვებლად. საქ. სოც. დემოკ. პარტიის ბელადებმა ვერ შეაფასეს სწორად ოქტომბრის რევოლიუცია, ვერ გაიგეს (ან არ შეეძლოთ გაგება) მისი ღრმა და ნამდვილი სოციალური ბუნება, გამოეყვენ ძლევამოსილ რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ფრონტს, და მოექცენ რევოლიუციის სოციალურ მოწინააღმდეგეთა ბანაკში.

ამის დამამტკიცებელია, „დამოუკიდებელი საქართველო“ მენშევიკური მთავრობის მთელი საქმიანობა და პოლიტიკა, ჩვენი ქვეყნის დასავლეთის იმპერიალისტებისათვის სათარეშო ასპარეზათ გარდაქცევა და რუსეთის შინაურ კონტრ-რევოლიუციონურ ბრბოებისთვის დახმარების აღმოჩენა ბოლშევიკების წინაამდეგ გამართულ ბრძოლებში.

მაგრამ ცხოვრებამ გააკეთა ის, რაც ისტორიულ აუცილებლობით გამომდინარეობდა თანამედროვე ეპოქისაგან.

მოხდა დიდი ფაქტორი — საქრთველოს გასაბჭოება და საქართველოს სინამდვილიდან გაირიყა წვრილბურჟუაზიული მენშევიკური მთავრობა.

რას ვხედავთ მას შემდეგ? კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა დგება ეკონომიურ და კულტურულად აღორძინების გზაზე; საქართველოს ყოველ კუთხეში სწარმოებს გიგანტიური მშენებლობა, —ზაჰესი, რიონჰესი და მრავ. სხვა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მაჩვენეებელი მაგალითებია. სოციალიზმის შენების გამარჯვების ეკონომიური საფუძვლებია.

ასეთი ფართო აღმშენებლობა სწარმოებს კავშირის ყველა კუთხეში; პროლეტარიატი ახერხებს ყველაფერ ამას საერთაშორისო ბურჟუაზიის პოლიტიკურ და ეკონომიურ ბლოკადის პირობებში. საბჭოთა კავშირი -ერთადერთი სახელმწიფოა მთელ მსოფლიოში რომელიც არღვევს კაპიტალიზმის რკალს და კაპიტალისტური ეკონომიკის საფუძვლებს და ხელმძღვანელობს სოციალისტურ რევოლიუციას.

ამიტომაა, რომ მას ვერ ითმენს მსოფლიო ბურჟუაზია და ცდილობს როგორმე მოახერხოს საბჭოთა ხელისუფლების დაცემა, ამ ბრძოლაში ის მიმართავს ყოველგვარ საშუალებას—პოლიტიკური, ეკონომიური ბლოკადა, ინტერვენცია თუ სხვა, რაც კი ოდნავ მაინც მოეხმარება, შეუქმნის გართულებას საბჭოთა ხელისუფლებას.

საბჭოთა კავშირის საგარეო გართულებით ჟორდანია—რამიშვილიებიც ფიქრობენ სარგებლობას და ცდილობენ ამ გართულებაში თავის წვლილის შეტანას, მონაწილეობის მიღებას მეორე აგვისტოს მოწყობით და სხვა მრავალი უტიფარი და ნამდვილი ავანტიურული მეთოდებით.

მაგრამ ეს ვერ მოხდება. ჟორდანია-რამიშვილისაგან გამოწვდილი სისხლიანი ხელი ჰაერში დარჩება პარიზის ქუჩებში და ყველა, ერთსულოვნათ, რკინის სიმტკიცით, მთელი თავიანთი შეგნებით, კომუნისტებთან ერთათ დავიცავთ პროლეტარულ ხელისუფლებას.

ქართველი მშრომელი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ სდგას ოქტომბრის მონაპოვარის დასაცავად, მუშაობს ქვეყნის აღორძინების საქმეზე და არ დაზოგავს არავის, ვინც კი გადაეღობება ამ გზაზე, ხელს შეუშლის ამ საქმეში.

მსოფლიოს ყველა ჯურის შავი ბრბოები, რომლებიც ეპირებიან საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ ლაშქრობის მოწყობას და მათი მიმყოლი ერთგულნი მსახურნი—ჟორდანია-რამიშვილები, მიიღებენ საკადრის პასუხს საბჭოთა რესპუბლიკების მუშებისა და გლეხებისაგან, მიიღებენ უფრო მკაცრ პასუხს, ვინემ 1918—20 წელს სამოქალაქო ომის დროს, ვინემ 24 წლ. აგვისტოში.

გ. წულაია.

# მიღებული შთაბეჭდილება

**(ლეჩხუმი)**

საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ლეჩხუმი ჩამორჩენილია კულტურულად და ეკონომიურად. აქაური გლეხობა ნივთიერად უფრო ცუდ პირობებშია ვინემ, მაგალითად, კახეთის და თუნდ იმერეთის.

ამის ერთ და მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს მისი დიდი მანძილით დაშორება ეკონომიური ცენტრებთან და გზების უვარგისობა, რაც კიდევ უფრო შეუძლებელს ხდის ბაზართან დამოკიდებულებას.

ამიტომაა, რომ ლეჩხუმელ გლეხს, ზედმეტი ჭირნახულიც, რომ ჰქონდეს, არ აქვს საშუალება მისი უშუალოდ ბაზარზე გამოტანის და მისდა უნებურად ვარდება ჩარჩების ხელში, რომლებიც ტყავს აძრობენ ამ ისედაც გაჭირვებულ გლეხებს.

უგზოობით აიხსნება ისიც, რომ აქაური გლეხობა საესებით მინდობილია ყანის სამუშაოს და არ შეუძლია რაიმე კულტურულ მეურნეობას მოკიდოს ხელი, როდესაც მიწის ფართობის სივიწროვე აქაც შესამჩნევია. ლეჩხუმი საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა მადნეულობით და ტყეებით მაგრამ ვერც მათი დამუშავებაა სასურველად მოგვარებული. ბარიტის მადნეულობა, რასაც კიდევ უფრო მეტად აძვირებს ტრანსპორტის უქონლობა. არც ტყეების გამოყენება და დამუშავება ხდება მიზანშეწონილად და უსარგებლოდ ილუპება და ნადგურდება მათი დიდი ნაწილი. ყველაფერს ამას უსათუოდ უშველიდა კარგი გზატკეცილის გაყვანა. ერთ დროს 1904 წ. ლეჩხუმისაკენ რკინისგზის გაყვანის პროექტიც კი მუშავდებოდა, მაგრამ, რადგან რუსეთის თვითპყრობელობა წინაალმდეგი იყო პერიფერიის ეკონომიური აღორძინების, ეს საქმე მივიწყებას მიეცა. საბჭოთა ხელისუფლებამ აღძრა ეს საკითხი, ხოლო ჯერ-ჯერობით ნივთიერი უსაღსრობის გამო ვერ დაუწყია ეს დიდი საქმე, ხოლო რისი შესაძლებლობაც აქვს არ იშურავს დახმარების გაწევას და ბევრი რამაა ამ მხრით უკვე გაკეთებული.

გზატკეცილების გაყვანაზე საერთოდ, ყველგან და, კერძოდ ლეჩხუმში რევოლიუციამდე არავინ ფიქრობდა. მენშევიკური ხელისუფლების დროს ეს საქმე სრულიად მივიწყებული იყო. წარსულ წელს ლეჩხუმის ადგილობრივი ხელისუფლება შესდგომია ამ საქმეს, დაუწყია ცაგერ-ორბელს შუა გზატკეცილის გაკეთება. ხალხიც დიდი სიხარულით შეხვედრია ამ ინიციატივას და ცენტრალური მთავრობასაც საკმაო თანხა გაუღია დასახმარებლად. მუშაობა უკვე დასრულდა და 26 ივლისში მოხდა ამ გზის გახსნა, რასაც განსაცვიფრებული საზეიმო ხასიათი ჰქონდა.

ხალხი ვერ ახერხებდა სიხარულის გამოთქმას, არ იცოდა თუ როგორ გამოეთქვა მადლობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, არ იცოდა, თუ რით დაეჯილდოვებია ამ საქმის ინიციატორები და ხელმძღვანელები. აღმასკ. თავმჯდ.—მაღრაძე და პარტკ. მდივანი—სიამაშვილი, რომლებსაც დაუსრულებელი ოვაციებს უმართავდენ.

ზეიმზე დასასწრებლად ხალხი მოსულიყო ცაგერიდან 30—40 ვერსის დაშორებით; მოსულიყვენ დელეგატები, რომლებიც სთხოვდენ ხელისუფლებას, რომ აეღოთ ინიციატივა სხვა გზატკეცილების გაკეთებაზეც და პირდებოდენ დახმარებას არა თუ ბეგარის სახით, არამედ მთელი შავი სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულებასაც.

ცაგერ-ორბელის გზატკეცილის გაკეთებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლეჩხუმისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია; ხალხის დღევანდელი შეგნება, მონდომება და ხელისუფლების მათდამი ყურადღება სრული თავდებია იმისი, რომ ლეჩხუმში გზატკეცილები ყველგან გაკეთებული იქნება და საგრძნობლად გაადვილდება მათი კავშირი და მიმოსვლა ეკონომიურ ცენტრებთან. დიდი ყურადღება ექცევა მთელ მაზრაში სათემო გზების გაყვანას და შეკეთებასაც. ხალხის ენერგიული შეხვედრა სახალხო საქმისადმი, რაც მე დავინახე, დიდ იმედებს იძლევა, რომ მოკლე ხანში ჩვენ შევსძლებთ ამ ხალხის კულტურულად და ეკონომიურად წინ წაწევას, ლეჩხუმის გლეხობის ნივთიერ მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესებას.

ლ. კუპრაშვილი.

# სამტრედიის რაიონის ორას ოცდა რვა ყოფილ მენშევიკების განცხადება

ამხანაგო რედაქტორო!

ჩვენ, ამის ქვემორე ხელისმომწერლები, საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის ყოფილი ძველი წევრები, გავეცანით გაზეთ „ახალ გზა"-ში გამოქვეყნებულ ჟორდანია-რამიშვილის „სამანდატო წერილებს" და აგრეთვე მათ საპასუხოდ დაწერილ ჩვენი ამხანაგების წერილებს. ავწონ-დავწონეთ საქმე და ჩვენს ზნეობრივ მოვალეობად მივგაჩნია საქვეყნოდ განვაცხადოთ შემდეგი:

ქართველ ხალხს ჯერ ვერ მოუშუშებია ის ზნეობრივი და ფიზიკური ჭრილობები, რომელიც მას მიაყენეს ნოე ჟორდანიამ და მისმა „მთავრობამ". ქართველი ხალხი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს იმას, რომ ჟორდანია-რამიშვილმა მას მოუწყო საშინელი ავანტიურა, გააბრიყვა მისი ახალგაზრდობა, ვერაგულად აალებია მას ხელში მახვილი თავისი საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ და შემდეგ, როცა ხელისუფლებამ ეს აჯანყება ჩაჭრო, მისმა იდეურმა და ფიზიკურმა ხელმძღვანელებმა, იმავე ჟორდანია-რამიშვილებმა, გადააფურთხეს მათ მიერ გაბრიყვებული მსხვერპლების საფლავებს, სხვებს გადააბრალეს აჯანყების მოწყობის ინიციატივა და თავის მართლება შეუდგენ.

დღეს ეს ქართველი ხალხის სახელითა და სისხლით მოვაჭრეები კიდევ ეპირებიან თავს მოგვახვიონ ახალი ავანტიურა. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ აღრენილი მსოფლიო ბურჟუაზიის ოქროთ მოსყიდულები, კიდევ ცდილობენ პროვოკაციის ანკესზე წამოაგონ ქართველი ხალხის მცირედი ნაწილი მაინც.

ჩვენ ზიზღს ვუცხადებთ ქართველი ემიგრაციის ლიდერების ასეთ ცდებს და ვაცხადებთ, რომ იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შევებრძოლებით ყველას, ვინც საბჭოთა საქართველოსა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას გაბედავენ.

ჩვენ, ამის ქვემორე ხელისმომწერლებს, ჩვენს ზნეობრივ და მოქალაქებრივ მოვალეობათ მიგვაჩნია აქვე საქვეყნოთ განვაცხადოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველო დააყენა კულტურული და ეკონომიური აღორძინების გზაზე, რომ დღეს საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა საზღაპროთ მიდის წინ, რომ კომუნისტური ხელისუფლება ჰქმნის საქართველოს ეკონომიური და მაშასადამე პოლიტიკური დამოუკიდებლობის მყარ საფუძველს.

ეს არის ჩვენი განცხადება, რომელზეც ხელს ვაწერთ:

ჯახელიძე ლუარსაბ გიორგის ძე, შენგელია პარმენ დიანოსის ძე, კოტრიკაძე ლადიკო ექვთიმეს ძე, ბიბილეიშვილი სოფრომ, დოლიძე თეოფილე გიგოს ძე, კუჭუხიძე ბარნაბა მარკოზის ძე. თოდუა პავლე იესეს ძე, ვალერიანე სპირიდონის ძე ნამიჭეიშვილი, დალაქიძე იოსებ ელიზბარის ძე, შარაშენიძე რაფიელ ლევარსის ძე, ბერიძე იოსებ გოჯასპირის ძე, დუდუჩავა გალაქტიონ ეგნატეს ძე, ნარჩემაშვილი ონისიმე ზაქარიას ძე, ჯიბლაძე გიორგი, შარაშეხიძე ლ. დავითის ძე, ჯუღელი ვლადიმერ დავითის ძე, მანაგაძე ბესარიონ მერაბის ძე, შავგულიძე ევგენი დავითის ძე, ხოჭოლავა გრიგოლი დავითის ძე, გუგუნავა იოსებ კონსტანტინეს ძე, ჯიქიძე ივანე თათეოზის ძე, ბებურიშვილი პოლიევქტო პავ. დევიძე გიორგი მალაქიას ძე, შველიძე შალვა კონსტანტინეს ძე, სუპატაშვილი ალექსანდრე რაჟდენის ძე, გვალია ვარლამ გერმანეს ძე, კიკვაძე იაშა ლევანტის ძე, ხელაძე სევერიანე სოკრატის ძე, საკანდელიძე ნიკოლოზ ამბაკოს ძე, ხარაბაძე ალექსანდრე ეზეკიას ძე, ხარაბაძე ილია გერმანეს ძე, დადუნაშვილი ილია ონისიმეს ძე, გოგორიშვილი მიხეილ ბარნაბას ძე, ხარაბაძე გიორგი ამირანის ძე, ხარაბაძე ს. გიგოს ძე, ჩხობაძე მიტროფანე სოლომონის ძე, გენულოვა სიმონ ისიდორეს ძე, ძიგრაშვილი გედეონ თადეოზის ძე, სინაურიძე თადეოზ ონიფანტეს ძე, დადუნაშვილი ვარდენ გიგოს ძე, მჟავანაძე ნიკოლოზ ვარლამის ძე, ბოჭორიშვილი ვასილ ფილიპეს ძე, კუპრაძე ივანე ბასილის ძე, ავალიანი ევსევი ლუკას ძე, გოგორიშვილი დავით იოსების ძე, სოსელია მიხეილ ივანეს ძე, ნამიჭეიშვილი გიორგი თადეოზის ძე, ჩხიკვაძე ერმილე, საკახდელიძე მიხეილ სოლომონის ძე, კორძაძე მაქსიმე ბათლომეს ძე, სანიკიძე ვლადიმერ ფარ. ბუხაშვილი ალექსანდრე ეფრემის ძე, აბრამიძე მელიტონ ეფრემის ძე, ძაგნიძე ნოე ბათ.; ჯინორიძე პროკოფი ელქსის ძე; ჯანჯალია ნიკოლოზ თომას ძე, ალავიძე ალექსანდრე გიორგის ძე, შენგელია პავლე გიორგის ძე, თევზაძე ნესტორ, ფირცხალავა ილია, გონგია კონსტანტინე, გიგინეიშვილი ვასილ მიხეილის ძე, ტორონჯაძე ბესარიონ, მელიტონ გვიჩია, ქანთარია ალ. გიორგის ძე, ჯალაღანია ივანე, რევიშვილი ექვთიმე სპირდონის ძე, კომუჯიშვილი კალისტრატე იაგორის ძე, თავაძე ეფრემ ივანეს ძე, სვანიძე მიხეილ პორფილეს ძე, დარსაველიძე გაბრიელ იგივე მიხაკო, ფრანგიშვილი ნინო ვასილის ასული, ლეჟავა ალექსანდრე ბესარიონის ძე, ვაშაკიძე ილია, ნემსაძე ანტონ ბესარიონის ძე, მელქაძე ლავრენტი ანდრიას ძე, შენგელია ონისიმე ივანეს ძე, ჩხეიძე სიმონ სოლომონის ძე, პეტრე ქუთათელაძე, ჭილაძე ლევან, არჩვაძე პარმენ გიორგის ძე, ლესკემაძე მოსე, ლეჟავა გიორგი, დარსაველიძე ლ.; ვაშაკიძე მიხეილ, ვაშაკიძე ნოე სიმონის ძე, ვაშაკიძე დომენტი, ჩომახიძე მექი გლახუას ძე, ლეკვეიშვილი ილიკო სიმონის ძე, გვანცელაძე ევგენი, დევიძე პორფილე ერასტის ძე, გეგუჩიძე სიმონ ალმ.; ცქიტიშვილი ივანე ზაალის ძე, ჯანელიძე ისიდორე გრიგოლის ძე, ჯანელიძე პოლიკარპე სპირიდონის ძე, ჯანელიძე გოგია კონსტანტინეს ძე, კოპალეიშვილ ხარლამპი, თარგამაძე თედორე კონსტანტინეს ძე, გიგინეიშვილი ნოე ივანეს ძე, ტორონჯაძე სიმონ გერასიმეს ძე, კვინტრაძე იუსტინე თომასძე, ტორონჯაძე სონია ბათლომეს ას., კახიანი გრიგოლ გ., კოპალეიშვილი სილიბისტრო ლევანის ძე, შენგელია პლატონ გიორგის ძე, ხუხდაძე ლუკა ტატოს ძე, წიფაძე გალაქტიონ პავლეს ძე, კახიანი გიორგი ხარიტონის ძე, დიდიძე შალვა ივლიანეს ძე, კოპალეიშვილი ივანე მოსეს ძე, ცეტაძე ილია მალაქიას ძე, შარაშიძე ქაიხოსრო მანუჩარის ძე, კოპალეიშვილი ილაკრი ივანეს ძე, ბაღდავაძე ბენია სილიბისტროს ძე, შილაკაძე სპირდონ ანტონის ძე, რაზმაძე ელიზბარ როსტომის ძე რაფიელ ასლანის ძე ქაჯაია, ხუნდაძე ერასტი ლევანის ძე, წოწელია პავლე ნიკოს ძე, კოპალეიშვილი ნიკიფორე გლახუას ძე, შილაკაძე ბარნაბა სტეფანეს ძე, კობეშავიძე სიმონ ფილიპეს ძე, ვერულაშვილი სტეფანე ანტონის ძე, კახიანი ელენა ვამეხის ასული, შილაკაძე გრიგოლ გაბრიელის ძე, ზამთარავა სიმონ თედორეს ძე, ანდრიაძე ივანე სპირიდონის ძე, კიკაბიძე აკაკი მიხეილის ძე, რუხაძე პარმენ დავითის ძე, ბაჯაძე სამსონ პავლეს ძე, გიორგაძე სანდრო როსტომის ძე, ხურციძე მიხეილ სიკოს ძე, ხურციძე სერგო ლევარსამის ძე, მარგველაშვილი ალექსანდრე ბიჭიას ძე, ყუფარაძე მაკარი ანდრიას ძე, იასონ რუხაძე, კოპალეიშვილი ნოე, რუხაძე მოსე, კახიძე ვასილ, შანიძე ევლამპი, კოხრეიძე ეზეკია, ძიძიგური ირაკლი, ვაშაკიძე მიხეილ, ლეკვეიშვილი კოსტა ილ., კოპალეიშვილი ილიკო, კოპალაიშვილი ბესარიონ, მაისაძე ბათლომე, ჯვარიშეიშვილი კოსტა ზაქარიას ძე, თათეიშვილი, კოხარიანი დარისპან, კოპალეიშვილი რაჟდენ სამსონის ძე, ძიძიგური ალექსი, ჯვარიშეიშვილი კიმოთე სერგოს ძე, კოხრეიძე გაბრიელ, ძიძიგური გრიგოლ, კოპალეიშვილი რაჟდენ ნიკოს ძე, რუხაძე ლავრენტი, ლეკვეიშვილი ალექსი, ლეკვეიშვილი ნეშროვან, კოხრეიძე ერასტი, რუხაძე სარდიონ, ფესვიანიძე კოსტა, კოხრეიძე ბეგლარ, ჯვარიშეიშვილი აკაკი, კოპალეიშვილი კირილე დიმიტრის ძე, ლეკვეშვილი სოლომონ, ყუფარაძე ბათლომე, ჯვარიშეიშვილი ნიკოლოზ, ჯვარიშეიშვილი ილარიონ, კოპალეიშვილი სევერიანე, კოპალეიშვილი ნესტორ სამსონის ძე, ჯვარიშეიშვილი ბათლომე. ჯვარიშეიშვილი მათე, კვანტალიანი პორფილე სისოს ძე,

სპირიდონ კიმოთეს ძე კვანტალიანი, აბულაძე ერასტი გიორგის ძე, გეგეშიძე ათანას ლუკას ძე, შენგელია პავლე ანდრიას ძე, ხურცილავა მიხა ლაზარეს ძე, შენგელია ივანე, შენგელია ილაკრი ანდრიას ძე, ხურცილავა თ[illegible]რე მოსეს ძე, ნინუა გიორგი იაკობის ძე, ახობაძე გიორგი ათახასეს ძე, ახობაძე სამსონ გაბრიელის ძე, პაპავა დიმიტრი ბიჭიას ძე, ლეჟავა ალექსი გიგოს ძე, ნიკურაძე ბესარიონ ოქროპირის ძე, კვანტალიანი მინა ინავეს ძე, წვერავა აპოლონ თომას ძე, ახობაძე ნესტორ ალმასხანის ძე, ნინუა რომანოზ ივანეს ძე, ახობაძე ევგენ გრიგოლის ძე, შენგელია ვასილ ნიკოს ძე, შენგელია ლავრენტი გრიგოლის ძე, ახობაძე მიხეილ ნიკოლოზის ძე, ნინუა გიორგი საბას ძე, შენგელია რაჟდენ ეგნატეს ძე, მიქაძე კოსტა ოქროპირის ძე, ნინუა იოსე როსტომის ძე, სტურუა დავით კიმოთეს ძე, კანდელაკი გერასიმე გრიგოლის ძე, ქებულაძე ლევნგინოზ ნიკოლოზის ძე, მიქელაძე ქეთო ანეპოტისტეს ასული, სტურუა მიხეილ გიგოს ძე, გიგენიშვილი რემანოზ, ნიკურაძე ვალიკო ნიკოლ.ზ.; ნიკურაძე პორფილე ბესარიონის ძე, გურულიშვილი ტეხუ, სტურუა სიმონ, სტურუა ვასილ არსენის ძე, ხელაძე სილოვან სამსონის ძე, გიორგი თადეოოზის ძე კაპანაძე, ხურციძე ვლადიმერ ფარსადანის ძე, ხურციძე სიმონ პარმენის ძე, ხურციძე ესტროფი დარისპანის ძე, ხურციძე ვლადიმერ კონსტანტინეს ძე, ლეკვეიშვილი იასონ ალექსის ძე, სუპატაშვილი ბესარ. გლახუას ძე, ნიჟარაძე ვლ. გიორგის ძე.

# მუშათა თეატრის შესახებ

ძალიან ხშირად გაზეთების ფურცლებზე, ქრონიკაში, ან ხელოვნების განყოფილებაში გამოცხადებულია: „აკადემიური დრამის აგარაკ ბორჯომში დასასვენებლად გამგზავრება", „მისი მუშაობა, უკანვე დაბრუნება და მის მთავარ რეჟისორთან კორესპონდენტის საუბარი მომავალ სეზონის და რეპერტუარის შესახებ". ან კიდევ: „მუშათა თეატრის რუსული სექტორის მუშაობა გაგრაში, ბათომში, იქედან ტფილისში, თანხების გაღება და სხვა". „ოპერის თეატრისათვის რეჟისორების, ბალეტმეისტერების, მომღერლების მოწვევა. ახალი ტანისამოსის და ბუტაფორიის მომზადება".

აი, თითქმის ყოველდღე შეხვდება მკითხველი ასეთ განცხადებებს და ვრცელ წერილებსაც გაზეთებში. ამ დროს კი, „მუშათა თეატრის" ქართული სექტორის შესახებ ჩამი-ჩუმიც არ ისმის. ერთი სიტყვით ყველა თეატრისათვის ყველაფერი მზადაა, მაგრამ საუბედუროდ „მუშათა თეატრის" ქართული სექტორის საქმე ჯერ კიდევ არ არის მზად.

ვის უნდა ესაუბროს კორესპონდენტი, როდესაც ქართულ სექტორს ჯერ-ჯერობით რეჟისორიც კი არა ჰყავს, არც რეპერტუარი აქვს, არც აგარაკზე აქვ. ბინა და არც ადგილობრივ „სახალხო სახლში". შეიძლება „მუშათა თეატრს" დიდი დანაშაული მიუძღვის ისტორიის წინაშე, რომ იმის „სახალხო სახლში" არსებობაზე თავს არავინ იწუხებს? მე მგონია, რომ არა. შეიძლება დაგვიანებული ამბავი იყოს? ასე იყო შარშანაც. დეკემბერში, რომ მუშაობა დაიწყება იმ სეზონიდან სასიკეთო რა უნდა გამოდნეს. შარშანდელი სეზონიც სუსტი გამოდგა. ამისათვის საჭიროა თავის დროზე საქმის დაწყება, გამოცდილი და მაგარი დასის შედგენა, მტკიცე რეპერტუარის გამომუშავება და სეზონიც მტკიცე და მაგარი გვექნება.

იმ დროს, როდესაც უკვე გაცხოველებული მუშაობა უნდა სწარმოებდეს, ისიც კი არავინ იცის ქართულ სექტორს ექნება ადგილი „მუშათა თეატრში" თუ არა. იმ დროს, როდესაც ოპერის და დრამის თეატრების მუშაობა სწრაფის ტემპით მიმდინარეობს და სეზონის გახსნის დროც უკვე აღნიშნულია, „მუშათა თეატრის" ქართული სექტორის არსებობის საკითხი ჯერ კიდევ სასწორზეა დადებული. იმ დროს, როდესაც რევოლიუციის მონაპოვრიდან უდიდესი წილი ხელოვნების დარგში „მუშათა თეატრს" უნდა რგებოდა, მისთვის მცირედიც კი დიდი ვაივაგლახით არის გაღებული—და ეს ხდება ისეთ თეატრის მიმართ, რომელსაც არა ერთი და ორი ასეული მუშა-რევოლიუციონერი გაუზრდია თავის კედლებს შუა და რომლის ისტორიასთან ვერც ერთი თეატრი ვერ დაიკვეხს თავისი რევოლიუციონური წარსულით.

მთელი 35 წლის განმავლობაში, მუშათა ძალებით წელში გამართული, რევოლიუციონური ბრძოლის სულით გამხნევებული მედგრად იცავდა მუშური ხელოვნების განმტკიცების სადარაჯოს და დღესაც არ გაუშვია ხელიდან მუშური ხელოვნების დროშა იმ თეატრს, რომლის სულის ჩამდგმელი და ავანგარდი ამ 35 წლის განმავლობაში ქართული სექტორი იყო.

ყველას, ვინც ცოტათ თუ ბევრად დაკავშირებულნი ყოფილან, ან არიან ამ თეატრის რევოლიუციონურ წარსულთან და მომავალთან, მუდამ უნდა ახსოვდეს ამ თეატრის ისტორია და რაც შეიძლება მეტის პატივისცემით და სათუთათ უნდა მოეპყრან მას. ეს ისტორია უნდა ახსოვდეთ მათაც, ვისაც შორეულ წარსულში, თვითმპყრობელობის დროს რევოლიუციონურ მუშაობით დაღლილს თავი შეუფარებია ამ თეატრის კედლებში და სიცივისაგან გაყინულს ერთხელ მაინც ხსეულთან ერთად გულიც და სულიც გაუთბია იმის გაჭვარტლულ და აკვამლებულ ბუხართან—და ამ კითხვაზე: „მომავალ სეზონში „მუშათა თეატრში სხვა სექტორებთან ერთად უნდა ჰქონდეს თუ არა ადგილი ქართულ სექტორს?—მტკიცედ უპასუხოს: „აუცილებლად უნდა ჰქონდეს ადგილი და ისიც პირველი".

უნდა ილოცხლოს რევოლიუციის ცეცხლში გამოვლილმა 35 წლის ვაჟკაცმა, რომ მომავალში უფრო მძლავრად გაშალოს ფრთები რევოლიუციონურ ასპარეზზე.

ჰიჰიკო გელეიშვილი..

# გურიის გლეხობის გასაჭირი

რამდენათ გურია კულტურულად და სწავლა-განათლების მასიურ გავრცელების მხრივ დაწინაურებულია, იმდენათ იგი ეკონოიმურათ ღარიბია და ჩემორჩენილი. არაა მეორე კუთხე ბარის საქართველოში, სადაც მოსახლეობა ესოდენ ნივთიერ უსახსრობასა და ხელ-მოკლეობას განიცდიდეს.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გურული გლეხი საშუალო შეძლების 2-3-ჯერ ღარიბია ვიდრე კახელი ან ქართლელი გლეხი. აღნიშნული მხარის ნივთიერი უსახსრობისა და გაჭირვების მიზეზი უმთავრესად მიწის სიმცირე და ნიადაგის სიმწირე-უვარგისობაა. აქაური მოსავალი (ითესება უმთავრესად სიმინდი, ღომი) სანახევროდაც ძლივს აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს; რაც არის ისიც მწირია და უვარგისი სიმინდის კულტურისათვის.

მხარის სიღარიბის მეორე მიზეზი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ჩამორჩენილობაა. მიუხედავათ იმისა, რომ აქაური გეო-კლიმატიური პირობები და ნიადაგი (სახნავსათესად გამოუსადეგარნიც-კი) სასოფლო მეურნეობის კულტურისათვის ერთობ ფართე პერსპექტივებს შლის, იგი მაინც აქ დაკოჭლებულია და სასურველ სიმაღლეზე ვერ დაგვიყენებია.

ცნობილია, რომ გურიაში არც ერთი სასოფლო-მეურნეობის დარგები (მებოსტნეობა-მეთამბაქოება-მევენახეობა—მესაქონლეობა და სხვ.) არ არის იმ ზომ განვითა-

რებული, რომ გლეხობის შემოსავლის ძირითად წყაროთ იქცეს.

აქაც ერთ სამეურნეო დარგს არ უჭირავს ისეთი ადგილი, როგორც მაგალითად კახეთში მევენახეობას, აფხაზეთში—მეთამბაქოებას, ქართლში (გორის მაზრა) მეხილეობას და სხვა. და ეს მაშინ, როდესაც აქ სასოფლო მეურნეობის მაღალი კულტურის ხელსაყრელი პირობები და პერსპექტივები იშლება..

რომელი დარგი გინდა, რომელიც აქ სათანადო ნიადაგს არ პოულობდეს; ავიღოთ თუნდაც ვენახი,რომელიც აქ მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია და მოუვლელობით გადაშენების გზაზეა შემდგარი.

მშვენიერი პირობები აქვს თამბაქოსაც, მაგრამ ესეც სათანადოთ მოუვლელია და დღემდე გაუვრცელებელი. ესევე ითქმის ჩაის კულტურაზეც, რომელსაც, როგორც ამ 2-3 წლის წინათ გამოარკვიეს სპეციალისტებმა გურიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უკეთესი პირობები აქვს ვიდრე ჩაქვში. ასეთსავე უბადრუკ პირობებშია სხვა მაღალი კულტურაც.

აი მთავარი მიზეზი, რომელნიც ხელს უცარავს და აფერხებს მუშა-გლეხობის ნივთიერ წინ-სვლის საქმეს. ამიტომაა გურული გლეხობა ასე ღარიბი, ამიტომაა რომ ასეთი სიმწვავით ეშვება აქაურ მოსახლეობის მხრებზედ უმოსავლო წლები, წელს ამ მხრივ მეტად უნუგეშო სურათები იშლება. თხილი, რომელიც გურულ გლეხობის ერთი-ერთი შემოსავლის წყაროა, სანახევროდაც არ მოსულა წელს; ხეხილი (ვაშლი, სხალი) შარშანდელზედ 70—80 პროც.-ით ნაკლებია. ამას ზედ დაერთო კიდევ აბრეშუმის უმოსავლობა.

ყანის მოსავალი წელს პირდაპირ უნუგეშოა. 1 ნახ. თვეა, რაც გადაუღებლივ წვიმს. უამრავი ყანები უამინდობის გამო გაუთოხავია დარჩენილი. საუკეთესო საყანეები, ნოყიერი ჭალები, როგორც მაგ. რიონის-სუფსის-ნატანებ-ჩოლოქის ჭალები, რომელნიც გურიის დედათ ითვლებიან, გამოუბრუნებლათ წამხდარია. სიმინდის მოსავალი გურიაში 60-80 პროცენტით მაინც ნაკლები იქნება შარშანდელზე.

ასე რომ მომავლის მეტად ცუდი სურათები იშლება, მოსალოდნელია გურიაში ჯერ არ ყოფილი შიმშილობა, რაც საშინელ გაჭირვებას უმზადებს მოსახლეობას, ხელის უფლებამ დროულათ არ უშველა საქმეს. ამ ხანადაც დიდი გაჭირვებაა სოფლათ; სიმინდს აგერ 3-4 თვეა ყიდულობს მცხოვრებლების უმრავლესობა, ფუთი სიმინდი 3 მანეთი ღირს.

საჭიროა ამ ხაზზედ სერიოზული ნაბიჯი, რომ მოსახლეობა დაზღვეულ იქნას მოსალოდნელ სიმშილობისაგან.

**ლიხაურელი.**

# თანამედროვე საბჭოთა სოფელი

## (წერილი სამეგრელოდან)

დღეს ჩვენი სოფელი აღმშენებლობითი მუშაობის ფართო გზაზეა შემდგარი. გლეხები მხურვალედ ეგებებიან საბჭოების ინიციატივას და ხელმძღვანელობას სოფლის კეთილ - მოწყობის საქმეში; ყველგან გაცხოველებული ტემპით სწარმოებს გზების გაყვანა, ხიდეების აგება, არხების გაყვანა, ჭაობების ამოშრობა და სხვ. ეხლა, როდესაც აღარ აქვს ადგილი ბიუროკრატიულ მიდგომას და დეფექტებს, და ყველაფერი გეგმით და საზოგადოების უშუალო მონაწილეობით კეთდება, მეტ ხალისს და მონდომებას ქმნის გლეხობაში საზოგადო საქმისადმი.

მენშევიკურმა ხელისუფლებამ ვერაფერი მისცა გლეხობას, პირიქით, სრულიად გაალატაკა, მოშალა მისი მეურნეობა და ეკონომიკა — უფრო მეტიც — ფიზიკური განადგურებითაც კი ემუქრებოდა მათ. ვინ არ იცის გლეხების მასიური აჯანყებები სამეგრელოში 1918 — 1919 წ. წ. ვის არ ახსოვს გენ. დენისოვის დამსჯელი ექსპედიციის „საქმიანობა“, რომელმაც ცეცხლსა და მახვილს მისცა სამეგრელოს სოფლები. ყველა ამის შემდეგ, ნუ თუ კიდევ შეუძლიათ ამ პოლიტიკის ხელმძღვანელებს ხალხს რაიმე დაპირება მისცენ, იფიქრონ მეორე აგვისტოს, მომზადებაზე, ახალი ავანტიურის მოწყობაზე? უნდა დარწმუნდენ ამ პროვოკაციების ავტორებმა, რომ მათ აღარავინ უჯერის, საქართველოში აღარ არსებობენ ის პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთაც შეეძლებათ ნ. რამიშვილის დავალებების შესრულება და ქარცივაძის მიერ შედგენილი „ცენტრალური კომიტეტები“ (ძნელი წარმოსადგენია პოლიტიკური ბრძოლის ამაზე მეტი გამასხარავება), ვეღარ უშველიდა მათ წაგებულ საქმეს. საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტის და გავლენის ასეთ გაზრდას ხელი შეუწყო არა მარტო მისმა პოლიტიკურმა სახემ, არამედ აღმშენებლობითმა და კულტურულმა მუშაობამ, რამაც მოწინააღმდეგესაც კი მოახრევინა ქედი, წაართვა ბრძოლის წარმოების ყველა საშუალებები და სოციალური ბაზა მუშებში და გლეხებში.

გამოფხიზლების ამ პროცესს არ ჩამორჩა არც ინტელიგენცია. ექიმების, მასწავლებლების, აგრონომების, ტეხნიკოსების და სხვა კულტურულ ძალთა. ზუგდიდის სამაზრო კონფერენციამ. საბოლოვო განაჩენი გამოუტანა მენშევიკურ და ყველა კონტრ - რევოლიუციონურ პარტიებს. კონფერენციის რეზოლიუციაში კატეგორიულადაა დაგმობილი ემიგრაციის ზრახვები და პერსპექტივები, და გაფრთხილებაა მიცემული, რომ ხელი აიღონ ქართველი ხალხის სახელით წარმოებულ სამარცხვინო საქმიანობაზე.

ხალხი სავსებით გამოფხიზლდა, მივიდა ხელისუფლებასთან და დაუღალავად მუშაობს ქვეყნის აღორძინების საქმეზე. საბჭოთა სოფელი წინ მიიწევს... ის შემდგარია განახლების გზაზე, მის სვლას ვერ შეაჩერებს ვერავითარი შავი ძალა. ხოლო მენშევიკების და ყველა კონტრ - რევოლიუციონური პარტიების „დამსახურებანი“ გადაეცა ისტორიულ მოგონებათა შავ ფურცლებს.

**მასწავლებელი სევერ. მაქაცარია.**

# წერილები პროვინციიდან

### ქ. თელავი

9 აგვისტოს ქ. თელავში შესდგა ყოფ. მენშევიკთა და ინტელიგენციის კრება. მოხსენება გააკეთა ამხ. კაჩუხაშვილმა შემდეგ თემაზე: „საერთაშორისო მდგომარეობა“ და ემიგრაციის ამოქმედება. მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა ყველა ის ეტაპები: ევროპის სახელმწიფ. კონფერენციები (კანა, გენუა და ლოზანა). მაკდონალდის მთავრობის იმედები და აჯანყების გზა, რომლებიც გაიარა ქართველმა ემიგრაციამ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, აქიდან მიღებული სასტიკი პოლიტიკური და ფიზიკური დამარცხებებით.

განსაკუთრებით ფართოდ გააშუქა ნ. ჟორდანიას სადირექტივო წერილში მიცემული ახალი პერსპექტივა აშენებული საბჭოთა კავშირის საგარეო გართულებაზე და კვლავ დატოვება აჯანყების მოწყობის იდეის, რაც შეუძლებელია და კიდევ უფრო ავანტიურისტული და საბედისწეროა მათთვის, ვინემ 1924 წ. ავანტიურა. მომხსენებელი არ უარყოფს ომის შესაძლებლობას, მაგ-

რამ ამტკიცებს, რომ ინტერვენცია ეხლა უფრო ადვილად დამარცხდება ვიდრე 1918—1920 წლებში, როდესაც 12 სახელმწიფო სამხედრო ინტერვენციის სახით ეოწვებოდა მაშინდელ ეკონომიურად დაქვეითებულს, გაპარტახებულს, შიშველ-ტიტველ ქვეყანას. აქ მომხსენებელს მოჰყავს რამოდენიმე ცოცხალი ფაქტი და სურათი ევროპის პროლეტარიატის გამემარცხენეობის და მისი საბჭოთა კავშირისადმი სიმპატიის ზრდისა. მოჰყავს უამრავი ფაქტები და ციფრები საბჭოთა კავშირის და, ცალკე, საქართველოს სოციალისტურ აღმშენებლობის, კულტურულად აყვავების და პოლიტიკურად განმტკიცების შესახებ. მას პარალელი გაყავს, მენშევიკურ და საბჭ. საქართველოს შორის. ფაქტებით, ციფრებით და თვით ჟორდანიას და მისი მიმდევრების ნაწერებით ამტკიცებს, რომ მაშინ საქართველო უფსკრულისაკენ მიექანებოდა, ეხლა კი წინ მიიწევს. ამტკიცებს, რომ მხოლოდ მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ შექმნა დამოკიდებლობა, გაუმაგრა მას ეკონომიური და კულტურული საფუძვლები, და ის წითელი დროშა, რომელშიდაც შექსოვილია დროშა ეროვნული, ისეთ ნიადაგზეა მიმაგრებული, რომ მას ვერავითარი გრიგალი ვერ ამოგლეჯსო. ეს დებულება მეტად საფუძვლიანად იყო დასაბუთებული.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე „განათლებული“ იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიალურ ქვეყნების ხალხების პოლიტიკურად და ეკონომიურად ჩაგვრას.

კრება მეტად კმაყოფილი დარჩა მოხსენებით. შემოვიდა მრავალი შეკითხვები, რომლებსაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ადგილობრივი ინტელიგენტებიდან ილაპარაკეს ამხ. ამხ. [illegible] ბაკურაძემ, ნიკო დუდუშაურმა, უთარაშვილმა და სხვებმა.

ორატორები ზიზღით და წყევლა-კრულვით იხსენიებდენ ემიგრაციის მეთაურებს, გმობენ მათ მიერ ქართველი ხალხის სისხლით ვაჭრობას, აღიარებენ საბჭოთა საქართველოში აღმშენებლობითი მუშაობის დიდ მიღწევებს და მოუწოდებენ ყველას საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისაკენ.

კრებამ შესაფერი რეზოლიუცია გამოიტანა და გამოითქვა სურვილი, რომ ასეთი მოხსენებები ხშირად იმართებოდეს.

**დამსწრე.**

## სიღნაღი

23 ივლისს ქ. სიღნაღში შესდგა სიღნაღის მაზრის ყოფილ მენშევიკ, ახ. მარქსისტ, სოც.-ფედერალისტ. და უპარტიო ქალთა თათბირი.

საერთაშორისო და საქართველოს შინაურ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კ. ჩართაშვილმა. მომხსენებელმა ვრცლად დაასაბუთა უკანასკნელ ხანებში შექმნილი გართულებული საგარეო მდგომარეობა, იმპერიალისტური სახელმწიფოების სამზადისი საბჭოთა კავშირის წინაამდეგ და ამაზე აშენებული ქართველი ემიგრაციის ხელმძღვანელების პერსპექტივები და ცდები, რომ სამსახური გაუწიონ ჩვენ მტრებს ამ საქმეში. იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა. ამის შემდეგ ილაპარაკეს ქალებმა და პარტკომთან არსებულ ყოფ. მენშ. შორის მომუშავე ბიუროს წევრებმა. ყველა ერთხმად აღიარებდა წარსულ შეცდომებს და ემიგრაციის სამსახურს რეაქციის წინაშე. თათბირმა გამოიტანა რეზოლიუცია, რითაც აფრთხილებს ემგრაციის ხელმძღვანელებს, რომ ხელი აიღონ ქართველი ხალხის სახელით ვაჭრობაზე და „საქმიანობაზე“ რაც მიმართულია თვით ამ ხალხის ნება სურვილის წინაამდეგ და ჰპირდება ხელის უფლებას, რომ მტკიცედ დაიცავენ მათ ქვეყანას შინაური და გარეშე მტრებისაგან, რომ სასტიკად და შეუბრალებლად იქნება აღკვეთილი ჟორდანია-რამიშვილების ყოველგვარი ავანტიურისტული ცდები 1924 წ. მგზავსი გაუგებრობის შესაქმნელად.

**ს. სვიმონაშვილი**

## ქ. ჭიათურა

**(საკუთარი კორესპონდენტისაგან)**

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ჭიათურას ესტუმრა ამხ. გიორგი სულაქველიძე, სადაც მან ჩაატარა მრავალი მასიური კრებები როგორც ქარხანა-მაღაროების მუშა-მოსამსახურეებში, აგრეთვე თვით ქ. ჭიათურაშიც.

ამხ. სულაქველიძე მოხსენებით გამოდიოდა ყველა კრებებზე ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის და ქართველი ემიგრაციის ახალი ავანტიურის სამზადისის შესახებ. ქ. ჭიათურაში მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული მრავალრიცხოვანმა კრებამ, მოისმინა რა ამხ. გ. სულაქველიძის მოხსენება ქართველი ემიგრაციის ბელადების ახალი ავანტიურის სამზადისისა და საერთო ბურჟუაზიის ბოროტი ზრახვების შესახებ და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

ჭიათურის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება აღნიშნავს საერთაშორისო ბურჟუაზიის გააფთრებულ მზადებას სისხლისმღვრელ ომისათვის და აგრეთვე ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ ქართველი ემიგრაციის ბელადები ქართველი ხალხის ბედს უკავშირებენ ამ მომავალ მსოფლიო უბედურებას, რისთვისაც ისინი ქართვე ლმშრომელ ხალხს მოუწოდებენ ავანტიურისა და თავისი საკუთარი ხელისუფლების ღალატისაკენ, აცხადებს, რომ ის ყველა მშრომელ ქართველთან ერთად იარაღით ხელში დაიცავს თავის საბჭოთა საქართველოს როგორც მსოფლიო იმპერიალიზმის, ისე ქართველი ემიგრაციის ლიდერების თავდასხმისაგან.

საერთო კრება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავი შრომით აღადგინა მეურნეობა და მედგრად დაადგა კულტურულ აღორძინების გზაზე. თვალი აუხილა ქართველი მენშევიკების საუკეთესო ნაწილს, რომლებიც მხნედ ამოუდგენ გვერდში საბჭოთა ხელისუფლებას და მედგრად ჩაება სოციალისტურ მშენებლობის საქმეში.

ჩვენ სავსებით ვიწონებთ ამ გზას და მუდამ მზად ვართ ამ დიად საქმეს მოვახმაროთ მთელი ჩვენი ენერგია და თუ საჭირო იქნება სიცოცხლეც კი.

შორს მენშევიკური ემიგრაციის ბოროტი ზრახვები!

ძირს ომი! გაუმარჯოს სოციალისტურ მშენებლობას! გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

**აქაური.**

**სარედაქციო კოლეგია.**

ალმასკოპის სტამბა, კამოს ქ. № 68.